

საქართველოს პროკურატურის სტრატეგია  
(2017-2021 წლები)



## სარჩევი

<b>1. შესავალი</b> .....	<b>4</b>
<b>2. პროკურატურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები</b> .....	<b>5</b>
<b>3. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა</b> .....	<b>6</b>
3.1. კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა.....	9
3.2. შეფასების სისტემის დანერგვა .....	9
3.3. გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურების დანერგვა .....	10
3.4. თანამშრომელთა როტაციის სისტემის რეფორმა.....	11
3.5. პროკურატურის და პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა .....	11
3.6. პროკურატურის სისტემაში თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა .....	12
<b>4. ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა</b> .....	<b>13</b>
4.1. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა .....	16
4.2. კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა .....	17
4.3. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა .....	18
4.4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა .....	19
4.5. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება .....	20
4.6. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა.....	21
4.7. იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესება .	21
4.8. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა	22
<b>5. ადამიანის უფლებების დაცვა</b> .....	<b>22</b>
5.1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა.....	22
5.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა.....	25
5.2.1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მექანიზმის გაუმჯობესება	26
5.2.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ეფექტიანობის გაზრდა.....	26
5.2.3. არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სტატისტიკური მონაცემების წარმოების ხარისხის გაუმჯობესება .....	27

5.3. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა .....	27
5.3.1. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოვლენის და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა.....	28
5.3.2. პროკურორების სპეციალიზაცია დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საკითხებში.....	29
5.3.3. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიური ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება .....	29
<b>6. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.....</b>	<b>30</b>
6.1. ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება .....	31
6.2. არასრულწლოვანთა პროკურორების რაოდენობის ოპტიმიზაცია და მათი გადამზადება .....	32
6.3. არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა .....	32
6.4. სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა .....	33
<b>7. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა .....</b>	<b>33</b>
7.1. სამართლებრივი თანამშრომლობის ქსელებთან ურთიერთობების გაღრმავება.....	34
7.2. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტის გამოცემა.....	34
7.3. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა.....	35
7.4. თანამშრომლობის შესახებ შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემების (E-transmission) დანერგვა .....	35
7.5. საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის სისტემა .....	35
7.6. პრაქტიკოსებისთვის სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა .....	36
7.7. მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან თანამშრომლობა.....	36
7.8. სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვება .....	37
7.9. სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ახალი ფორმები .....	37
<b>8. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება .....</b>	<b>37</b>
8.1. სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს დანერგვა.....	40
8.2. ფუნქციათა გამიჯვნა.....	40

8.3. საქმეთა გადანაწილების სისტემის რეფორმა .....	40
8.4. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი.....	41
8.5. ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა .....	41
8.6. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა .....	42
8.7. გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დანერგვა.....	42
<b>9. საზოგადოების ნდობის ამაღლება .....</b>	<b>43</b>
9.1. მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბება .....	45
9.2. პროკურატურის ვებგვერდის განახლება .....	46
9.3. კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია.....	46
9.4. მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტისა და ელექტრონული პროგრამის შექმნა.....	47
9.5. სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება .....	47
<b>10. დანაშაულის პრევენცია .....</b>	<b>48</b>
10.1. ადგილობრივი საბჭოების შექმნა.....	49
10.2. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შექმნა .....	50
10.3. პრევენციული ღონისძიებების პროგრამისა და მათი ეფექტიანობის შეფასების სისტემის შექმნა.....	50
10.4. საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების ზრდა.....	51
<b>11. სამუშაო გარემოს გაუმჯობესება .....</b>	<b>52</b>
11.1. სამუშაო პირობების სტანდარტიზაცია.....	53
11.2. სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება .....	54
11.3. შიდა მონხმარების ქსელის დახვეწა .....	54
<b>12. თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება.....</b>	<b>55</b>
12.1. თანამშრომლების მომზადება/გადამზადება.....	56
12.2. ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა .....	57
12.3. მოქმედი მენეჯერებისა და მომავალი ლიდერების განვითარების პროგრამის დანერგვა .....	58
12.4. მენტორების პროგრამის დანერგვა და ამოქმედება .....	58
12.5. ახალი ელექტრონული პროდუქტების დანერგვა.....	59
12.6. სტუდენტებისათვის სასწავლო აქტივობების განხორციელება .....	59
12.7. რანგირების სისტემის რეფორმა .....	60

## 1. შესავალი

საქართველოს პროკურატურის სისტემური რეფორმირების პროცესი 2013 წელს დაიწყო. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრი აღარ ახორციელებს საპროკურორო საქმიანობას. საქართველოს პროკურატურის რეფორმის ფარგლებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესია ასევე მთავარი პროკურორის არჩევის წესის შემოღება და მართვის კოლეგიური სისტემის დანერგვა, რაც განსაზღვრავს სისტემის დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ხარისხს. განხორციელებული უმნიშვნელოვანესი პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, პროკურატურის წინაშე კვლავ დგას ახალი გამოწვევები. მოცემული დოკუმენტის მიზანია, უკვე მიღწეული შედეგებისა და ახალი საჭიროებების გათვალისწინებით, განსაზღვროს სისტემის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, პრიორიტეტები და მიზნის მიღწევის გზები.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიული ხედვა აგებულია სისტემის პროგრესსა და განვითარებაზე, რომელიც მოიცავს: დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას, ადამიანის უფლებების დაცვას, საპროკურორო საქმიანობისა და გამოძიების ხარისხის ამაღლებას, დანაშაულის პრევენციას, პროფესიული ეთიკის სტანდარტის დახვეწას, პროკურატურის სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, პროკურატურისა და პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას, საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებასა და ინსტიტუციურ განვითარებას.

სტრატეგიაში მოცემული მიმართულებები ეფუძნება წამყვანი სამართლებრივი სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკას, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებს/ანგარიშებს, ორგანიზაციაში ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევას და პროკურორთა დატვირთვის ანალიზს.

წარმოდგენილი სტრატეგიის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი და ევროპის საბჭო, რომლებმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და შედეგებზე ორიენტირებული საექსპერტო თუ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინეს პროკურატურის სისტემასა და სტრატეგიაზე მომუშავე გუნდს.

სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად, პროკურატურა მოწოდებულია ყველა სახელმწიფო ორგანოსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობისთვის.

## 2. პროკურატურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

საქართველოს პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, რიგ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. აღნიშნული ფუნქციის განხორციელებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავსა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში ჩამოყალიბებული პრინციპები.

პროკურატურა თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობით, რომლის მიზანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის დახვეწა და დანაშაულთან ბრძოლის სფეროში შიდა თუ გლობალურ გამოწვევებთან გამკლავება. „პროკურატურის შესახებ“ კანონში მოცემულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც პროკურატურის საქმიანობა ეფუძნება:

- ✓ კანონიერება;
- ✓ ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა;
- ✓ პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;
- ✓ ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- ✓ ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორისა და პროკურატურის სხვა მუშაკის მთავარი პროკურორისადმი დაქვემდებარება;
- ✓ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

საქართველოს პროკურატურა, სწორედ ზემოაღნიშნულ პრინციპებზე დაფუძნებით, სტრატეგიული განვითარების წინამდებარე კონცეფციის ფარგლებში გეგმავს არაერთი ღონისძიების განხორციელებას.

### 3. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა

#### ა. არსებული მდგომარეობა

საქართველოს პროკურატურის დამოუკიდებლობა სისტემის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელს წარმოადგენს. სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ<sup>1</sup> ადგენს, რომ სახელმწიფომ ეფექტიანი ზომები უნდა მიიღოს, რათა პროკურატურის დამოუკიდებლობის ხასიათი და ფარგლები კანონით იქნეს დადგენილი<sup>2</sup>. თითქმის ანალოგიური შინაარსის დებულებებს შეიცავს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ მიღებული პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტები<sup>3</sup>.

გასულ წელს განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმის შედეგად, პროკურატურის სისტემური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება პროკურატურის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, არამენეჯერულ პოზიციაზე მყოფ პროკურორთა დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი არასაკმარისი მონაწილეობა.

საქართველოს პროკურატურა, ისევე როგორც მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების წამყვანი საგამომიებო და საპროკურორო სისტემები, მკაცრად ცენტრალიზებული და სუბორდინაციული უწყებაა, სადაც ყველა თანამშრომელი ექვემდებარება ზემდგომ თანამდებობის პირს, ხოლო ხელმძღვანელის კანონიერი ბრძანება/მითითება შესასრულებლად სავალდებულოა ყველა ქვემდგომისთვის. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი<sup>4</sup> პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად სწორედ მის სისტემურ ერთიანობასა და ცენტრალიზაციას, ყველა ქვემდგომი პროკურორისა და პროკურატურის სხვა მუშაკის მთავარი პროკურორისადმი დაქვემდებარებას აცხადებს.

<sup>1</sup>სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ, გაეროს მერვე კონგრესი დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ, ჰავანა, 27 აგვისტო – 7 სექტემბერი, U.N. Doc. A/CONF.144/28/Rev.1 at 189 (1990).

<sup>2</sup>ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (Rec(2000)19) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში პროკურორის როლის შესახებ (2000), პარაგრაფი 19.

<sup>3</sup>მიღებულია პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ 1999 წლის 23 მაისს.

<sup>4</sup>კანონის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე: [ბოლო ვიზიტი 01.03.2016]

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დათქმებისა და მართვის ერთპიროვნული ტრადიციების ფონზე, წლების განმავლობაში მოხდა პროკურატურის სისტემის იმგვარი ფორმირება, რომელმაც ამ სისტემასთან მიმართებით რიგ შემთხვევაში საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩამოაყალიბა. აღნიშნულს დაემატა ის გარემოებაც, რომ 2005 წლამდე ქვედა ეშელონებში არსებულ ტოტალურ კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად ქვეყანაში საჯარო ადმინისტრირების მკაცრი ცენტრალიზაცია იქცა, რამაც დადებით შედეგებთან ერთად მანკიერი მხარეებიც გამოავლინა.

მიუხედავად პროკურატურის სისტემის ამგვარი იერარქიული ბუნებისა, საქართველოს პროკურატურა გააგრძელებს ინდივიდუალური პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვას, ვინაიდან პროკურატურის დამოუკიდებლობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღებისას პროკურორების დამოუკიდებლობა და მათი ზეგავლენისგან დაცულობა. იმისათვის, რომ პროკურორებზე ზემოქმედების იარაღად არ იქნეს გამოყენებული დისციპლინური დევნის ინსტრუმენტები, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებების განხორციელება. საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის დებულების შესაბამისად ხორციელდება.<sup>5</sup> აღნიშნული დეპარტამენტი პროკურატურის მუშაკთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას და მისი შედეგების შესახებ დასკვნას წარუდგენს საქართველოს მთავარ პროკურორს, რომელიც საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციის მხედველობაში მიღებით წყვეტს თანამშრომლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების ან მასზე უარის თქმის საკითხს.

გამჭვირვალე დისციპლინური პოლიტიკის გატარების მიზნით, პროკურატურის სისტემაში უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები:

- ✓ 2015 წლის სექტემბრის თვეში „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში<sup>6</sup> განხორციელებული ცვლილებებით, საქართველოს მთავარი პროკურორის, მისი მოადგილეებისა და საპროკურორო საბჭოს იმ წევრის მიმართ, რომელიც საქართველოს პროკურორთა კონფერენციამ აირჩია, დისციპლინური სახდელის

<sup>5</sup>საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის №33 ბრძანება საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.

<sup>6</sup>კანონის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) [ბოლო ვიზიტი 05.01.2016]



გამოყენების საკითხს განიხილავს და წყვეტს კოლეგიური ორგანო - საპროკურორო საბჭო;

- ✓ 2016 წლის იანვრის თვეში, საქართველოს მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომლის ფუნქციასაც სხვა საკითხებთან ერთად, პროკურატურის მუშაკთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხთა განხილვა წარმოადგენს;
- ✓ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის განხილვისას სხდომაზე დასწრებისა და საკუთარი მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობა მიეცა იმ პირს, ვისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხიც განიხილება საბჭოზე;
- ✓ „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევების უკეთ დასაძლევად მნიშვნელოვანია ასევე კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში არამენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პროკურორის როლის კიდევ უფრო გაზრდა და სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების შემჭიდროებულ ვადებში მიღება. აღნიშნულის პარალელურად, მნიშვნელოვანია ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება.

### **ბ. მიზნები**

- ✓ პროკურატურის და პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა;
- ✓ კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა;
- ✓ შეფასების სისტემის დანერგვა;
- ✓ ეთიკის კოდექსის და წინასწარგანჭვრეტადი დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის შექმნა;
- ✓ პროკურატურის თანამშრომელთათვის წინსვლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- ✓ თანამშრომელთა მიღების, დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა.

### **გ. მიზნის მიღწევის გზები**

იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა, მნიშვნელოვანია შემდეგი სახის ღონისძიებების გატარება:

### **3.1. კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა**

კოლეგიური ორგანოების როლის გაზრდა ამაღლებს სისტემის ეფექტიანობის, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის ხარისხს.

კოლეგიური ორგანოების როლის გაზრდა პირდაპირ კავშირშია უწყების მიმართ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საზოგადოების ნდობის განმტკიცებასთან.

მნიშვნელოვანია ისეთი დოკუმენტებისა და წესების კოლეგიური ორგანოს მიერ დამტკიცება, რომლებიც პირდაპირ კავშირშია პროკურორთა დამოუკიდებლობასთან.

პროკურატურის საკონსულტაციო საბჭოს მიერ მოხდება საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსისა და პროკურატურის მუშაკთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ პროცედურული რეგულაციების დამტკიცება. შესწავლილი იქნება საერთაშორისო პრაქტიკა კოლეგიური ორგანოების როლისა და ფუნქციების შესახებ, რომლის შემდგომ შემუშავებული იქნება წინადადებები აღნიშნული ორგანოს მოქმედების საკანონმდებლო გარანტიებისა და მისი მუშაობის პროცედურების შესახებ.

გაგრძელდება საკონსულტაციო საბჭოს სხდომების ჩატარების პრაქტიკა, სადაც კოლეგიურად მოხდება პროკურორთა დასჯისა თუ წახალისების გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნული მოდელი ზრდის პროკურორთა დაცულობას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება პროკურატურის დამოუკიდებლობაზე.

### **3.2. შეფასების სისტემის დანერგვა**

საქართველოს პროკურატურა შეიმუშავებს შეფასების კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზე, წელიწადში ერთხელ შეფასდება თითოეული პროკურორის საქმიანობა. პროკურორების შეფასება წარმართება შემდეგი მიმართულებით: შეფასდება პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ეფექტიანობა; სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი; პროკურორის მიერ სასამართლოში წარდგენილი

შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი; პროკურორის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტების ხარისხი; პროკურორის სხვა აქტივობები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული უშუალოდ საპროკურორო საქმიანობასთან (მაგ.: პროკურორის პრევენციულ ღონისძიებებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა); სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში პროკურორის მუშაობის ხარისხი; პროკურორის ტრენინგებში მონაწილეობა და ტრენინგზე მიღწეული შედეგები. შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები გაიწერება ცალკე დოკუმენტში, რომელიც შეფასების დაწყებამდე გასაცნობად წარედგინება ყველა პროკურორს, რათა მათ ნათელი წარმოადგენა ჰქონდეთ შეფასების კრიტერიუმებზე. პროკურორთა დაწინაურებას, წახალისებას, დისციპლინურ პასუხისმგებლობას საფუძვლად დაედება შეფასების შედეგები. შემუშავდება დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნება პროკურორთა დაწინაურების, წახალისების კრიტერიუმები და პროცედურები, რაც ასევე გასაცნობად წარედგინება ყველა პროკურორს.

შეფასების სისტემა მინიმუმამდე დაიყვანს შეფასების პროცესში სუბიექტური მიდგომის რისკს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს პროკურორის მეტ დაცულობას გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების დროს და გაზრდის მათ მოტივაციას.

### **3.3. გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურების დანერგვა**

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურებთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები ამ კუთხით დაგეგმილი რეფორმის მხოლოდ პირველი ეტაპია. მისი შემდგომი მეთოდოლოგიური და საკანონმდებლო სრულყოფა მომდევნო წლების უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს.

მკაფიოდ გაიწერება ის დარღვევები, რომლებიც იწვევს პროკურატურის მუშაკის დისციპლინურ პასუხისმგებლობას. მნიშვნელოვანია დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების სიცხადე, ვინაიდან თითოეულ გამომძიებელს და პროკურორს უნდა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა სამსახურებრივი მოთხოვნებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადაიხედება პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი, მოხდება სისტემის თანამშრომელთა მიერ შესაძლო სამსახურებრივი გადაცდომების იდენტიფიცირება და უზრუნველყოფილი იქნება სანქციების პროპორციულობა. შემუშავდება სახელმძღვანელო, გაიდლაინები, რომლებშიც მოცემული

იქნება ეთიკის კოდექსთან და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებები, გადაცდომების კონკრეტული მაგალითები. ეთიკის კოდექსი და შემუშავებული სახელმძღვანელო გასაცნობად წარედგინება პროკურატურის ყველა მუშაკს და ისინი გაივლიან სწავლებას ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებით. ეთიკის კოდექსი და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებები ხელმისაწვდომი იქნება ასევე საზოგადოებისათვის.

### **3.4. თანამშრომელთა როტაციის სისტემის რეფორმა**

გარდა პროკურატურაში დასაქმების თანაბარი შესაძლებლობებისა, წინამდებარე სტრატეგიული კონცეფციის ფარგლებში დაგეგმილია უკვე დასაქმებულ პირთა როტაციის სისტემის რეფორმა.

პროკურატურის თანამშრომელთა მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში არსებობდეს არა მხოლოდ დაწინაურების, არამედ სხვა სტრუქტურულ ერთეულში იმავე პოზიციაზე კონკურსის წესით გადასვლის შესაძლებლობა. ქვედა რგოლის თანამშრომელს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ უწყებაში მისი პროფესიული წინსვლა დამოკიდებულია მხოლოდ მისი საქმიანობის შედეგებსა და ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადდება შიდაუწყებრივი კონკურსები, რომლებშიც ნებისმიერ მსურველს ექნება საკუთარი კანდიდატურის წარდგენის შესაძლებლობა

დანერგული საკონკურსო სისტემის ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით, გონივრული პერიოდულობით მოხდება შედეგების განზოგადება და იმის გაანალიზება, რამდენად კარგად ართმევენ თავს კონკურსის წესით ახალ თანამდებობებზე დასაქმებული/გადაადგილებული პირები დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

### **3.5. პროკურატურის და პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა**

პროკურატურის და პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის პროცესი წარმოადგენს დინამიურ პროცესს. საპროკურორო საქმიანობისა და მართვის სისტემის დეცენტრალიზაციას დადებით მხარეებთან ერთად, თან ახლავს კორუფციისა და

სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში არაერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების რისკი.

შესწავლილი იქნება სხვა ქვეყნების პრაქტიკა და მომზადდება წინადადებები მთავარი პროკურორის არჩევის წესის დახვეწის მიზნით.

მთავარი პროკურატურის მიერ შემუშავდება რეკომენდაციები (აღკვეთის ღონისძიებების, საპროცესო შეთანხმებისა და დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებასთან და სხვა პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით), რომლებიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს რიგითი პროკურორის დამოუკიდებლობას და გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას, ხოლო, მეორე მხრივ, მიმართული იქნება ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისკენ.

პროკურორთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდება დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება პროკურორებს შორის სისხლის სამართლის საქმის გადანაწილების ნათელი კრიტერიუმები.

შემუშავდება პროკურორთათვის საქმეების განაწილების და საქმის ჩამორთმევის ნათელი და ობიექტური კრიტერიუმები და პროცედურები, რომლის თანახმად ზემდგომ პროკურორს დაეკისრება ვალდებულება წერილობით დაასაბუთოს ქვემდგომი პროკურორისთვის საქმის ჩამორთმევისა და სხვა პროკურორისთვის გადაცემის გადაწყვეტილება.

### **3.6. პროკურატურის სისტემაში თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა**

საქართველოს პროკურატურა შეიმუშავებს დოკუმენტს, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი თანამშრომელთა შერჩევისა და დაწინაურების კრიტერიუმები და პროცედურები, რათა გადაწყვეტილებები ემყარებოდეს ზუსტ და ობიექტურ, განსაკუთრებით დამსახურებაზე დაფუძნებულ კრიტერიუმებს. აღნიშნული დოკუმენტი იქნება ყველა პროკურორისთვის და საზოგადოების თითოეული წევრისთვის ხელმისაწვდომი. კრიტერიუმებისა და პროცედურების ნათლად გაწერა უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობას და ამ პროცედურის ფარგლებში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების დასაბუთებულობას.

პირველ რიგში მოხდება საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა პროკურატურის სისტემაში თანამშრომელთა შერჩევისა და დაწინაურების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ, რომლის შემდგომ პროკურატურის სისტემაში მოხდება ზემოაღნიშნული დოკუმენტის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა.

#### 4. ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

##### ა. არსებული მდგომარეობა

საქართველოს პროკურატურა ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას საგამომიებო ერთეულების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე და, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, თავად აწარმოებს გამომიებას სრული მოცულობით.

გამომიების ხარისხის ამაღლების საჭიროება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა გასული წლების საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებსა და რეკომენდაციებში.

**ადამიანთ ვაჭრობა** ერთ-ერთი იმ გლობალური ხასიათის პრობლემათაგანია, რომელიც საქართველოშიც აქტუალურია. ტრეფიკინგის არსებული ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენა და ამ კატეგორიის ტრეფიკინგზე სამართლებრივი რეაგირება უფრო ეფექტიანია, ხოლო შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენა სირთულეს წარმოადგენს. საქართველოსთვის გამოწვევად რჩება ქუჩაში მცხოვრები ბავშვების საკითხი, რომლებიც ხშირად ხდებიან სხვადასხვა სახის ექსპლუატაციის მსხვერპლნი.

უკანასკნელ პერიოდში **ტერორიზმი** თითქმის ყველა ქვეყნისთვის იქცა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. მნიშვნელოვანია შემუშავდეს თანმიმდევრული სამართლებრივი პოლიტიკა ტერორიზმის საფრთხეების შესამცირებლად.

**უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და ტერორიზმის დაფინანსება** განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების უსაფრთხოებასა და კანონის უზენაესობას. შესაბამისად, ამ დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

2004 წლიდან საქართველოში არსებობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც მუდმივად განიცდიდა განახლებას მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და გამოწვევებთან გამკლავების მიზნით.

მითითებული სისტემის არსებობის მანძილზე მიღწეულ იქნა გარკვეული წარმატება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ეფექტიანობის თვალსაზრისით. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ასეთი საქმეების რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლებია სხვა პოტენციურ პრედიკატ დანაშაულებთან დაკავშირებით წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების საერთო რაოდენობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულთა უმრავლესობას თან ახლავს უკანონო შემოსავლის მიღება, რასაც ხშირ შემთხვევაში მოჰყვება მისი ლეგალიზაცია, არსებობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ეფექტიანობის გაზრდის საჭიროება.

დღეისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, არ არსებობს ტერორიზმის დაფინანსების საქმეების გამოძიების პრაქტიკა, რაც ასევე მიანიშნებს ტერორიზმის დაფინანსების შესაძლო ფაქტებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ეფექტიანობის გაზრდის საჭიროებაზე.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მიღწევა შეუძლებელია არსებული კანონმდებლობით ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების ეფექტიანი მოძიებისა და ჩამორთმევის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დრომდე ჩამორთმეულ იქნა დანაშაულის შედეგად მიღებული ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების ქონება, მისი ოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლებია ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის სავარაუდო ოდენობაზე. ეს გარემოება განაპირობებს ზემოხსენებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობას.

საზოგადოებრივი სერვისების მზარდი ელექტრონიზაცია, ერთი მხრივ, ზრდის კიბერდანაშაულის რისკებს და, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებების მოპოვების მეტ შესაძლებლობებს იძლევა. ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვებისა და კიბერდანაშაულის მიმართულებები შედარებით ახალი და სპეციფიკური სფეროებია, რის გამოც საჭიროა გამომძიებლებისა და პროკურორების გადამზადება, მათთვის სპეციალური სახელმძღვანელოების მომზადება. კიბერდანაშაულთან საბრძოლველად და ელექტრონული მტკიცებულებების

შეუფერხებლად მოპოვების მიზნით, მნიშვნელოვანია სხვა სახელმწიფო უწყებებთან და სერვისის პროვაიდერებთან ურთიერთობის გაღრმავება.

**ნარკოტიკული დანაშაული** კვლავ რჩება სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის, პროკურატურის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. 2016 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან კოორდინაციით ჩატარებულმა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი მიზეზების კვლევამ ცხადყო, რომ ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების ერთ-ერთი მიზეზი ამ მიმართულებით მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონეა. გამოკითხულთა უმეტესობამ განაცხადა, რომ არ ჰქონდათ ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალების მავნე ზეგავლენისა და მისი სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობის შესახებ. ამავე კვლევით გამოიკვეთა, რომ ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარება ადრეული ასაკიდან იწყება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე და 273-ე მუხლებთან დაკავშირებით მიღებულმა გადაწყვეტილებამ წარმოშვა საკანონმდებლო ცვლილებებისა და ამ დანაშაულთან მიმართებით სისხლის სამართლის პოლიტიკის გადახედვის საჭიროება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წელს შეტანილი ცვლილებებით შესაძლებელი გახდა **იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება**. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა გადამზადება ამ ტიპის დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით, იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების პრაქტიკა მწირია. დეტალურად არ არის შესწავლილი ის გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების პრაქტიკის დანერგვას. ამ ეტაპისთვის არ არსებობს სახელმძღვანელო, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტანდარტები. დღესაც დღის წესრიგში დგას 2012 წლამდე ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიება და დარღვეული უფლებების აღდგენა.

### **ბ. მიზნები**

- ✓ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა;
- ✓ კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა;
- ✓ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა;
- ✓ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ეფექტიანობის გაზრდა;



- ✓ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდა;
- ✓ კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება;
- ✓ ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა;
- ✓ იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესება 2012 წლამდე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და მათზე რეაგირების ეფექტიანობის გაზრდა.

### **გ. მიზნის მიღწევის გზები**

აღნიშნული მიზნების მისაღწევად საქართველოს პროკურატურა წინამდებარე სტრატეგიის ფარგლებში განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

#### **4.1. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით:

- ✓ განხორციელდება ტრეფიკინგის საქმეებზე პროკურორების სპეციალიზაცია;
- ✓ პროკურორები გამოძიების დაწყებამდე ჩაერთვებიან ოპერატიული ინფორმაციის ანალიზში;
- ✓ გააქტიურდება შსს-ს და პროკურატურის წარმომადგენელთა ერთობლივი სამუშაო ჯგუფის (ე.წ. task force-ების) საქმიანობა, მისი წევრების სისტემატური შეხვედრების გზით;
- ✓ შსს-ს და პროკურატურის წარმომადგენელთა ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ, არსებული გამოწვევების გაანალიზების შედეგად, დაისახება მცირევადიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ შსს-ს და პროკურატურის წარმომადგენელთა ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წევრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სისტემატურად განხორციელდება პროკურორებისა და გამომძიებლების ერთობლივი ტრენინგები;
- ✓ შრომითი ექსპლუატაციის ფაქტების გამოვლენის მიზნით, მოეწყობა შრომის ინსპექტორებთან სისტემატური სამუშაო შეხვედრები და შემუშავდება ერთობლივი გეგმები;

- ✓ შრომითი ტრეფიკინგის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, საგამოძიებო ორგანოებისთვის შემუშავდება რეკომენდაცია;
- ✓ მოხდება შრომითი ტრეფიკინგის თემაზე პროკურორთა გადამზადება;
- ✓ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ბავშვების ჩართვის ფაქტების გამოვლენისა და ეფექტიანი გამოძიების წარმოების მიზნით, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი პროკურორების, სამართალდამცავი ორგანოებისა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლების მონაწილეობით;
- ✓ საკანონმდებლო ცვლილებისთვის რეკომენდაციების მომზადების მიზნით შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად განხორციელდება არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვა, რაც ხელს შეუწყობს ქუჩის ბავშვების პრობლემის აღმოფხვრას საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწის გზით;
- ✓ დაიგეგმება ტრეფიკინგის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებები (გაიმართება მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები, დამზადდება და გავრცელდება საინფორმაციო ბროშურები, პროკურატურის ვებგვერდის გამოყენებით საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია, პროკურორები მონაწილეობას მიიღებენ ტელე და რადიოგადაცემებში ტრეფიკინგის თემაზე).

#### 4.2. კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით:

- ✓ პროკურორები გადამზადდებიან კორუფციული დანაშაულების გამოძიების მეთოდულ კურსში;
- ✓ საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების მონაწილეობით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიკრიბება წელიწადში არანაკლებ ორჯერ. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში მოხდება გავრცელებული კორუფციული დანაშაულების თაობაზე ინფორმაციის გაცვლა და მისი ანალიზი. სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმას;
- ✓ გაგრძელდება უწყებათაშორის ანტიკორუფციულ საბჭოსთან და ამ მიმართულებით არსებულ სამუშაო ჯგუფთან აქტიური თანამშრომლობა, რაც მოიცავს სისხლის სამართლის საქმეების ანალიზის საფუძველზე საპროკურორო და საგამოძიებო

საქმიანობისთვის ხელშემწყობ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით წინადადებების მიწოდებას, კორუფციის გავრცელების მომეტებული საფრთხის მქონე სტრუქტურების, ტერიტორიული ერთეულებისა და სფეროების იდენტიფიცირებას;

- ✓ ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან წელიწადში არანაკლებ ერთხელ გაიმართება სამუშაო შეხვედრა. მათთან ერთად მოხდება არსებული მდგომარეობის გაანალიზება, არასამთავრობო ორგანიზაციების ხედვების მოსმენა და ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმების შემუშავება;
- ✓ კორუფციული დანაშაულის გამოვლენისა და მისი პრევენციის მიზნით, პერიოდულად (არანაკლებ წელიწადში ერთხელ) მოეწყობა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები იდენტიფიცირებული რისკუბონების (საჯარო სამსახურები) საქმიანობის მაკონტროლებელი სტრუქტურების წარმომადგენლებთან (შიდა მონიტორინგის სამსახური, გენერალური ინსპექცია), რომლებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია გავრცელებულ კორუფციულ დანაშაულებსა და საწყის ეტაპზე მათი გამოვლენის გზებზე;
- ✓ საზოგადოებრივი პროკურატურის და ადგილობრივი საბჭოების ფორმატში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ანტიკორუფციულ საკითხებზე გაიმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები;
- ✓ ამ მიმართულებით დაიგეგმება პრევენციული ღონისძიებები.

### 4.3. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით:

- ✓ გაანალიზდება ტერორიზმის სისხლის სამართლის საქმეები;
- ✓ კონტრტერორისტულ სამსახურებთან ერთად შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიკრიბება პერიოდულად (არანაკლებ წელიწადში ორჯერ) და შეიმუშავებს ტერორიზმის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებს, განახორციელებს კონტრტერორისტული ოპერატიული საქმიანობის ანალიზს და უზრუნველყოფს საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანიის გამოცდილების გაზიარებას;
- ✓ პროკურორები გადამზადდებიან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე;
- ✓ იმ რეგიონებში, სადაც განსაკუთრებით მაღალია მოქალაქეთა გადაბირების საფრთხე, საზოგადოებრივი პროკურატურის და ადგილობრივი საბჭოების პროექტის ფარგლებში ჩატარდება მოსახლეობასთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები,

რომლებიც მიმართული იქნება როგორც ცნობიერების ამაღლების (ინფორმაცია ტერორისტულ ორგანიზაციებში გადაბირების მეთოდების, ტერორიზმის მარეგულირებელი სისხლის სამართლის ნორმების, კერძოდ, დანაშაულის შემადგენლობის, სანქციებისა და ნასამართლობის თანამდევნი შედეგების შესახებ), ასევე იმ რისკფაქტორების აღმოფხვრისაკენ, რაც ახალგაზრდებს ტერორისტულ დაჯგუფებებში გაწევრიანებისკენ უბიძგებს;

- ✓ ყოველწლიურად მომზადდება მთავარი პროკურორის წინაშე წარსადგენი ანგარიში წლის განმავლობაში ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

#### **4.4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საქართველოს პროკურატურა განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ✓ გააანალიზებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ კომპეტენტურ ორგანოებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმს; ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებს ზომებს აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანობის გასაზრდელად;
- ✓ უზრუნველყოფს პარალელური ფინანსური გამოძიების ჩატარებას ყველა იმ დანაშაულთან მიმართებაში, რომელსაც ახლავს შემოსავლის მიღება;
- ✓ გააანალიზებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობას; ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, მიიღებს ზომებს აღნიშნული ეფექტიანობის გასაზრდელად;
- ✓ პერიოდულად ჩატარებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებას და რესურსებს გადაანაწილებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ რისკების შემცირება;

- ✓ უზრუნველყოფს გამომძიებლებისა და პროკურორების სწავლებას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე გამომძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების საკითხებზე;
- ✓ უზრუნველყოფს გამომძიებლებისა და პროკურორების სწავლებას დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის საკითხებზე.

#### **4.5. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება**

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით:

- ✓ შეიქმნება საჯარო დაწესებულებების (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო, CERT-მონაცემთა გაცვლის სააგენტო, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია) სამუშაო ჯგუფი;
- ✓ შეიქმნება სერვისის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგია;
- ✓ გაფორმდება სერვისის პროვაიდერებთან ურთიერთგაგების მემორანდუმები ან/და ახალი გამოწვევების გათვალისწინებით მოხდება არსებულის შეცვლა;
- ✓ პერიოდული კონსულტაციებისთვის შეიქმნება ფორუმი;
- ✓ განხორციელდება სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი და მომზადდება საკანონმდებლო წინადადებები (სხვადასხვა ტიპის კომპიუტერული მონაცემების მოპოვების წესის დიფერენცირების, მონაცემების შენახვის, კიბერდანაშაულის ელემენტების მოდიფიცირებისა და ახალი დანაშაულების შესახებ);
- ✓ მოხდება ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების სტანდარტიზაცია და შემუშავდება შესაბამისი სახელმძღვანელო;
- ✓ განხორციელდება პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების სპეციალიზაცია კიბერდანაშაულში;
- ✓ გადამზადდებიან პროკურატურის გამომძიებლები და პროკურორები ელექტრონულ მტკიცებულებებზე, სერვისის პროვაიდერებთან თანამშრომლობაზე, კიბერდანაშაულის ცალკეულ ელემენტებსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაზისო საკითხებზე.

#### 4.6. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით:

- ✓ ყოველწლიურად გაანალიზდება ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეები. ანალიზის შედეგები გამოყენებული იქნება აღნიშნულ საქმეებზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების გადამზადების პროცესში და სისხლის სამართლის პოლიტიკის განსასაზღვრად;
- ✓ განხორციელდება პროკურორებისა და გამომძიებლების ერთობლივი გადამზადება ნარკოტიკული დანაშაულის (მათ შორის ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტული გზით გადაზიდვის ფაქტების) გამოძიების, ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
- ✓ საკანონმდებლო ცვლილებისთვის რეკომენდაციების მომზადების მიზნით, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, გადაიხედება არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა;
- ✓ გადაიხედება არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლების მიმართ ლიბერალიზაციის კუთხით;
- ✓ გაიმართება ერთობლივი სამუშაო შეხვედრები სამართალდამცავი სტრუქტურებისა და ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით;
- ✓ გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან, სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რისკჯგუფში შემავალ პირებს. ასევე, გათვალისწინებული იქნება კონკრეტული რეგიონის საჭიროებები და იქ არსებული გამოწვევები. რისკჯგუფებთან მოხდება ნარკოტიკების პრობლემატიკაზე არსებული დოკუმენტური ფილმების ჩვენება და მათი განხილვა;
- ✓ ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდება ბროშურები და პლაკატები;
- ✓ სკოლის მოსწავლეებისათვის მოეწყობა პრევენციების კონკურსი ნარკოტიკული საშუალების უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. გამარჯვებული მოსწავლეები წახალისდებიან.

#### 4.7. იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესება

იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების

გაუმჯობესების მიზნით:

- ✓ გადამზადდებიან აღნიშნულ სფეროში მომუშავე პროფესიონალები;
- ✓ განხორციელდება სხვა ქვეყნების პრაქტიკის გაცნობა;
- ✓ შეიქმნება იურიდიულ პირთა საქმეების გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო.

#### **4.8. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა**

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენის პროცესში. საკუთრების უფლების, პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მაქსიმალურად მყისიერი რეაგირების მიზნით, დეპარტამენტი გაააქტიურებს თანამშრომლობას სხვადასხვა სამართალდამცავ სტრუქტურებთან, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან, ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.

განხორციელდება მოსამართლეებთან, ადვოკატებთან ერთობლივი შეხვედრები და ტრენინგები, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის საკითხზე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით. მოხდება საზოგადოების პერიოდული ინფორმირება სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით.

### **5. ადამიანის უფლებების დაცვა**

#### **5.1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

##### *ა. არსებული მდგომარეობა*

ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში ამ დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფო სტრუქტურების თუ

არასამთავრობო სექტორის ძალისხმევის შედეგად იცვლება საზოგადოების განწყობა, ინგრევა სტერეოტიპები და იზრდება ცნობიერება ოჯახში ძალადობის შესახებ. ოჯახური დანაშაულის ძირითადი მსხვერპლები - ქალები-სულ უფრო ხშირად იცავენ თავს სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კვლავ დგას აღნიშნული დანაშაულის გამოძიების დროს დაზარალებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის პრობლემა.

მნიშვნელოვანია ამ დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარება, ვინაიდან დღემდე გატარებულმა პრევენციულმა ღონისძიებებმა გაზარდა ამ დანაშაულთან მიმართებით სამართლებრივი ცნობიერება, რისი დასტურიც დაზარალებულთა სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვიანობის გაზრდაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კატეგორიის დანაშაულების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენება და პრევენცია არის პროკურატურის პრიორიტეტული მიმართულება.

### **ბ. მიზნები**

- ✓ ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესება;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
- ✓ სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების შემცირება;
- ✓ პროკურორთა და პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე, სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავება და პრევენციულ ღონისძიებებში ფართო საზოგადოების ჩართვა.

### **გ. მიზნის მიღწევის გზები**

ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის საქართველოს პროკურატურაში განხორციელდება შემდეგი სახის ღონისძიებები:



- ✓ ადამიანის უფლებათა საბჭოსთან, იუსტიციის სამინისტროსთან და სხვა შესაბამის სამინისტროებთან და სახელმწიფო უწყებებთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, გაგრძელდება მუშაობა, საერთაშორისო სტანდარტების მხედველობაში მიღებით, კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით;
- ✓ პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გაგრძელდება ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით არსებული სისხლის სამართლის საქმეების ყოველწლიური შესწავლა, რომლის შედეგებიც გასაჯაროვდება სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების, სახელმწიფო ფონდებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების მონაწილეობით გამართულ კონფერენციაზე;
- ✓ ანალიზის შედეგების საფუძველზე დაიგეგმება მომდევნო წლის განმავლობაში ამ კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები: გადაიხედება არსებული რეკომენდაციები ოჯახური დანაშაულის მიმართულებით და განხორციელდება ყველა ის ღონისძიება, რომელთა საჭიროებასაც გამოავლენს ყოველწლიური ანალიზი;
- ✓ თითოეულ რეგიონსა და რაიონში, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, განხორციელდება პროკურორთა სპეციალიზაცია და კოორდინატორთა გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მიმართულებით.
- ✓ სასამართლო კორპუსთან და საგამომიებო უწყებებთან სისხლისსამართლებრივი დევნის მტკიცებულებითი სტანდარტისა და სასჯელის განსაზღვრის საკითხებთან მიმართებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, წელიწადში მინიმუმ ერთხელ გაიმართება სამუშაო შეხვედრები;
- ✓ წელიწადში მინიმუმ ერთხელ გაიმართება სამუშაო შეხვედრები იმ უწყებებსა და ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართული არიან ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში;
- ✓ პოტენციურ დაზარალებულთა და მოწმეთა სამართალშეგნებისა და სამართალდამცავებთან მათი თანამშრომლობის ხარისხის ასამაღლებლად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიციასთან და

არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციით, თბილისსა და რეგიონებში ჩატარდება თემატური საინფორმაციო შეხვედრები ოჯახური დანაშაულის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების, მსხვერპლთათვის შეთავაზებული სერვისების, სამართალდამცავთათვის შეტყობინებისა და მათთან თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ;

- ✓ დაზარალებულთან თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, ამ კატეგორიის საქმეებში ჩაერთვებიან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები. ისინი ოჯახური დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებთან, ასევე ძალადობის მსხვერპლ ქალებთან გამოძიების დაწყებისთანავე დაამყარებენ კომუნიკაციას და სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას მიაწვდიან ინფორმაციას პროცესის მიმდინარეობისა და იმ მომსახურების შესახებ, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ ამ დანაშაულის შედეგად დაზარალებულმა პირებმა. კოორდინატორები აგრეთვე აქტიურად ჩაერთვებიან ოჯახური დანაშაულის პრევენციაში და ამ მიზნით განხორციელებულ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში;

## **5.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

### ***ა. არსებული მდგომარეობა***

უახლოეს წარსულში პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებისა და პოლიციის მუშაკების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა, მიუხედავად ამ მიმართულებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, კვლავ რჩება გამოწვევად. დღეის მდგომარეობით, არ არსებობს არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის საკითხზე ერთიანი მიდგომა, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის ეფექტიანი სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისთვის.

## **ბ. მიზნები**

- ✓ წამებისა და არასათანადო მოპყრობის მიმართულებით სისხლის სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდა;
- ✓ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენცია;
- ✓ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სტატისტიკური მონაცემების წარმოების ხარისხის გაუმჯობესება.

## **გ. მიზნის მიღწევის გზები**

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საქართველოს პროკურატურაში გატარდება შემდეგი ღონისძიებები:

### **5.2.1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მექანიზმის გაუმჯობესება**

არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მიზნით საქართველოს პროკურატურის შესაბამისი დანაყოფის - ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს პროკურორები პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირებთან კვლავ განახორციელებენ სისტემატურ ვიზიტებს. ასევე, მოხდება პროკურორების მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დაზიანებით შესახლებული პირების სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევებში დაკავებულ პირთა გამოკითხვა. გადამოწმდება ბრალდებული პირის სასამართლოში პირველი წარდგენის/აღკვეთის ღონისძიების შერჩევის დროს მისი არასათანადო მოპყრობას დაქვემდებარებასთან დაკავშირებული ყველა განცხადება.

### **5.2.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ეფექტიანობის გაზრდა**

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, შემუშავდება სახელმძღვანელო პრინციპები, რაც ხელს შეუწყობს პროკურორებს ეფექტურად განახორციელონ სისხლისსამართლებრივი დევნა ამ

კატეგორიის დანაშაულებზე. სახელმძღვანელოში მოცემული იქნება არასათანადო მოპყრობის ფაქტების სწორი და ერთიანი კვალიფიკაციის განსაზღვრის, ასევე აუცილებელ მტკიცებულებათა მოპოვება/დამაგრების, დაზარალებულის ჩართულობის, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა/ჩატარების და ყველა სხვა მნიშვნელოვანი პროცესუალური საკითხი. სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებაზე დაწესდება კონტროლი. მათი პრაქტიკაში აქტიურად გამოყენების მიზნით ჩატარდება შესაბამისი სასწავლო ღონისძიებები.

### **5.2.3. არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სტატისტიკური მონაცემების წარმოების ხარისხის გაუმჯობესება**

არასათანადო მოპყრობის ზუსტი სტატისტიკური აღრიცხვა არის მნიშვნელოვანი, რათა დადგინდეს დანაშაულის დინამიკა, გამოვლინდეს პრობლემური რეგიონები, დაწესებულებები და საკითხები. შემუშავდება სეგრეგირებული სტატისტიკური მოდული, რომლის საშუალებით მოხდება დეტალური ინფორმაციის შეგროვება დანაშაულის ჩამდენი პირის, დაზარალებულის მახასიათებლების, ასევე ქმედების შინაარსსა და გავრცელებული არასათანადო მოპყრობის ფორმებზე. ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ხელს შეუწყობს სამომავლო პრევენციული ღონისძიებების დანერგვას.

### **5.3. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

#### ***ა. არსებული მდგომარეობა***

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე საქართველოს წინაშე არსებული ერთ-ერთი გამოწვევაა. დღესდღეობით სამართალდამცავი უწყებებისთვის არ არსებობს სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც დაარეგულირებს და განსაზღვრავს ერთიან მიდგომებს დისკრიმინაციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა ამისა, ამჟამად, აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე არ არის გამოყოფილი სპეციალიზებული პროკურორები.

დისკრიმინაციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აუცილებელია ამ მიმართულებით სწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის წარმართვა და ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ტოლერანტული დამოკიდებულების განმტკიცებას.

### **ბ. მიზნები**

- ✓ დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბება;
- ✓ პროკურორების სპეციალიზაცია და მათი გადამზადება;
- ✓ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა.

### **გ. მიზნის მიღწევის გზები**

დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად პროკურატურა განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

#### **5.3.1. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოვლენის და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა**

დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შემუშავდება რეკომენდაცია, რომელშიც მოცემული იქნება დისკრიმინაციული მოტივების დეტალური განმარტება, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხები, იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა ჩატარდეს მითითებული მოტივების გამოვლენის მიზნით. განხორციელდება პროკურორთა გადამზადება. ასევე, ამ მიმართულებით საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ არსებული მდგომარეობის გაანალიზების მიზნით, მომზადდება თემატური ანგარიში.

### **5.3.2. პროკურორების სპეციალიზაცია დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საკითხებში**

დისკრიმინაციული დანაშაულის გამოძიებაზე ეფექტიანი საპროცესო ზედამხედველობის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდასაჭერად რაიონულ რგოლებში განხორციელდება პროკურორების სპეციალიზაცია. სპეციალიზებული პროკურორების არსებობა ამაღლებს და გაზრდის ამ მიმართულებით პროკურატურის საქმიანობის ხარისხს. სპეციალიზებული პროკურორები, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, მჭიდრო კოორდინაციაში იქნებიან საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას დისკრიმინაციულ და სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში.

### **5.3.3. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიური ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება**

მოხდება საზოგადოების პროაქტიური ინფორმირება დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიების, მათზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ეტაპების შესახებ. ამ მიზნით საქართველოს მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის მიერ მითითებული ინფორმაცია გავრცელდება საქართველოს პროკურატურის ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების პრევენციის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიციასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციით, თბილისსა და რეგიონებში ჩატარდება თემატური საინფორმაციო შეხვედრები.

## 6. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

### ა. არსებული მდგომარეობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამ და ამოქმედებამ საქართველოს პროკურატურა, ისევე როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართული ყველა სხვა უწყება, 2016 წლიდან ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.

არასრულწლოვანთა კოდექსის ამოქმედებამ გაზარდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ პირთა რაოდენობა, რომლებსაც არ აქვთ ერთმანეთთან კოორდინირებულად მუშაობის პრაქტიკა.

იმის გამო, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი წარმოადგენს ახალ ნორმატიულ აქტს, პრაქტიკაში ხშირია კოდექსის ნორმების სხვადასხვაგვარად განმარტების/გაგების შემთხვევები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი მაღალი სტანდარტები და კოდექსის ნორმების არაერთგვაროვანი გაგება წარმოშობს სპეციალიზებული პროკურორების მუდმივი გადამზადების საჭიროებას.

მიუხედავად პროკურატურის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, პროკურატურის არცერთ სტრუქტურულ ერთეულში დღემდე არ არსებობს არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემო (კერძოდ, ადაპტირებული ოთახები), რომელშიც უნდა მოხდეს არასრულწლოვნების მონაწილეობით საგამომიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარება (მაგ.: გამოკითხვა). ამგვარი გარემოს არარსებობა, ერთი მხრივ, ზრდის არასრულწლოვანში მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრით გამოწვეულ სტრესს და, მეორე მხრივ, აფერხებს მისგან ობიექტური ინფორმაციის მიღების პროცესს.

მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრით გამოწვეული სტრესის შესამცირებლად მნიშვნელოვანია მოწმე და დაზარალებულ არასრულწლოვნებთან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობა. ამ ეტაპზე კოორდინატორები არ არიან ჩართული არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებში.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ანალიტიკურ სამმართველოში გროვდება სტატისტიკური მონაცემები არასრულწლოვანი მოწმის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების (ბრალდებულების, განრიდებულების) შესახებ, თუმცა, ამ მიმართულებით საჭიროა დამატებითი ნაბიჯების გადადგმა. არ არსებობს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება

არასრულწლოვან პირებზე შესაგროვებელი მონაცემები, მათი შეგროვების მეთოდოლოგია, გამოქვეყნების პერიოდულობა და წესი. ასევე, რიგ შემთხვევებში ერთი და იმავე მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ. მაგალითად, განრიდებული არასრულწლოვნების შესახებ მონაცემებს აგროვებს ორი უწყება. გარდა ამისა, არსებობს მონაცემები, რომლებიც არ იწარმოება არც ერთი უწყების მიერ (მაგ.: მონაცემები 14 წლამდე ასაკის იმ ბავშვების შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება).

### **ბ. მიზნები**

- ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართულ პირებს შორის კოორდინაციის ამაღლება;
- ✓ პროკურატურის ყველა სტრუქტურული ერთეულის სპეციალიზებული პროკურორების საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფა;
- ✓ სპეციალიზებული პროკურორების მომზადების დონის ამაღლება;
- ✓ არასრულწლოვანთა ინტერესებზე მორგებული გარემოს შექმნა;
- ✓ სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

### **გ. მიზნის მიღწევის გზები**

#### **6.1. ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართულ პირებს შორის კოორდინაციის ამაღლებისა და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის მყარი მექანიზმის შექმნის მიზნით, ასევე განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სრულყოფისათვის, რეგიონულ დონეზე შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართული პროფესიონალებისგან (მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, მედიატორი, ბავშვთა უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენელი) და მათი მონაწილეობით წელიწადში მინიმუმ ერთხელ გაიმართება სამუშაო შეხვედრები. ამგვარი შეხვედრების მიზანი იქნება პროფესიონალებს შორის ინფორმაციის გაცვლა, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება და ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების დროული გადაჭრა.



## **6.2. არასრულწლოვანთა პროკურორების რაოდენობის ოპტიმიზაცია და მათი გადამზადება**

საქართველოს პროკურატურა სრულად აცნობიერებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებულ პროკურორთა იმგვარი გადამზადების მნიშვნელობას, რომელიც სრულად უზრუნველყოფს არასრულწლოვნის ქვეყნის ინტერესის პრიორიტეტულობას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში.

პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, პერიოდულად გადამზადდებიან სპეციალიზებული პროკურორები. გადამზადება მოიცავს პროცესის შშმ არასრულწლოვან მონაწილეებთან კომუნიკაციის სტანდარტებსაც.

ყოველწლიურად ან/და საკადრო ცვლილებების პარალელურად, გაანალიზდება სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობის შესაბამისობა კონკრეტულ რეგიონში არსებულ მოწმე, დაზარალებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობასთან. ანალიზის საფუძველზე გადაიხედება კონკრეტულ რეგიონში არსებული სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა და შეუსაბამობის შემთხვევაში მოხდება დამატებითი პროკურორების გამოყოფა/გადამზადება.

## **6.3. არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა**

პროკურატურა გადადგამს ნაბიჯებს ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზნით.

არასრულწლოვანთა ფსიქოლოგებისა და შესაბამისი ექსპერტების მონაწილეობით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს არასრულწლოვანთა ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს სტანდარტს. 2017 წლის ბოლომდე, საქართველოს პროკურატურის ყველაზე დატვირთულ, მინიმუმ ერთ სტრუქტურულ ერთეულში შეიქმნება ამგვარი სპეციალური გარემო/ოთახი. მომდევნო წლებში, არასრულწლოვანთა ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა გაგრძელდება სხვა სტრუქტურულ ერთეულებშიც.

#### 6.4. სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა

შესაბამისი ექსპერტის მონაწილეობით შეიქმნება დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება არასრულწლოვან პირებზე შესაგროვებელი მონაცემები, მათი შეგროვების მეთოდოლოგია, გამოქვეყნების პერიოდულობა და წესი.

### 7. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა

#### ა. არსებული მდგომარეობა

სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობა. მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო არის სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე პასუხისმგებელი ცენტრალური ორგანო, რომლის კომპეტენციაში შედის ექსტრადიციის, სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების, შემდგომი წარმოების მიზნით საქმეების გადაგზავნისა და მსჯავრდებულთა გადაცემის საკითხები.

აღნიშნულ თავში მოცემულია ღონისძიებები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდას და ამ სფეროში სამართლიანი პროცესის პრინციპების გატარებას.

#### ბ. მიზნები

- ✓ სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდა;
- ✓ სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გამჭვირვალობის, განსაზღვრულობისა და სამართლიანი პროცესის სხვა პრინციპების დაცვის გაუმჯობესება;

- ✓ სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მენეჯმენტის გაუმჯობესება.

### **გ. მიზნის მიღწევის გზები**

სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის და სამართლიანი პროცესის გასამყარებლად, მნიშვნელოვანია საქართველოს პროკურატურაში გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

#### **7.1. სამართლებრივი თანამშრომლობის ქსელებთან ურთიერთობების გაღრმავება**

სამართლებრივი თანამშრომლობის ქსელების (შემდეგში - ქსელები) მიზანია პრაქტიკოსებს შორის კომუნიკაციის გაადვილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით ხელი შეუწყოს სამართლებრივი თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდას.

ცენტრალური ორგანო შეასრულებს ყველა შესაბამის პირობას EUROJUST-თან თანამშრომლობის ხელშეკრულების წარმატებით გაფორმებისთვის. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში დახვეწს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებულ პრაქტიკასა და რეგულაციებს. EUROJUST-ის მეშვეობით ევროკავშირის ქვეყნებთან მოახდენს სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას და გაზრდის მის ინტენსივობას. ქართველ პრაქტიკოსებში გაავრცელებს ინფორმაციას EUROJUST-ის მეშვეობით თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ.

#### **7.2. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტის გამოცემა**

საერთაშორისო თანამშრომლობაში მეტი განჭვრეტადობისა და გამჭვირვალობისთვის შემუშავდება პოლიტიკის დოკუმენტები შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ექსტრადიცია;
- ✓ სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარება;
- ✓ შემდგომი წარმოების მიზნით საქმეების გადაგზავნა;

- ✓ მსჯავრდებულთა სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით გადაცემა.

### **7.3. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა**

განხორციელდება საქმისწარმოების სრული ელექტრონიზაცია, რომელიც შესაძლებელს გახდის დეტალური სტატისტიკის ავტომატურ წარმოებას, გააუმჯობესებს დოკუმენტებისა და შესრულების ვადების მენეჯმენტს და შექმნის თანამშრომელთა დატვირთულობის შეფასების გაუმჯობესებულ სისტემას.

### **7.4. თანამშრომლობის შესახებ შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემების (E-transmission) დანერგვა**

დაინერგება უცხო სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ შუამდგომლობების გადაცემის დაცული ელექტრონული სისტემები (E-transmission). ამ ეტაპისთვის ცენტრალური ორგანო ელოდება ინტერპოლის მიერ ელექტრონული გადაცემის სისტემის e-MLA-ს დანერგვას, რომელიც უახლოეს პერიოდში გახდება ხელმისაწვდომი.

### **7.5. საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის სისტემა**

არსებული რეგულაციების შესაძლო რეფორმირების, პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისა და უცხო სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებთან (Asset Recovery Offices) კავშირების გაღრმავებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გაცვლის გზით გაიზრდება დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის სისტემის ეფექტიანობა. შემუშავდება დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის არსებული რეგულაციების რეფორმის პროექტი, რომელიც გაამარტივებს საერთაშორისო დახმარების შუამდგომლობის საფუძველზე დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და კონფისკაციის არსებულ პროცედურებს, განსაზღვრავს საერთაშორისო დახმარების საფუძველზე ჩამორთმეული ქონების განაწილების პრინციპებს, შექმნის საერთაშორისო დახმარების შუამდგომლობის საფუძველზე

დანაშაულებრივი ქონების დაყადაღებისას და ჩამორთმევისას მესამე პირთა უფლებების დაცვისა და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფის გარანტიებს.

## **7.6. პრაქტიკოსებისთვის სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა**

შეიქმნება სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. სახელმძღვანელოში ასევე მოცემული იქნება სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის ტიპური ფორმები.

## **7.7. მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან თანამშრომლობა**

ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან (შემდეგში - კომპანია) სამართლებრივი დახმარების გვერდის ავლით პირდაპირი თანამშრომლობა დაშვებულია კიბერდანაშაულის შესახებ ბუდაპეშტის 2004 წლის კონვენციით. ზოგიერთი კომპანია გარკვეული პირობებითა და მოცულობით თანახმაა მსგავსი ფორმით თანამშრომლობაზე, რაც შესაძლებელს ხდის სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის საჭირო მონაცემების მოპოვებას ტრადიციული სამართლებრივი დახმარებისაგან განსხვავებით ბევრად მოკლე დროში.

კომპანიებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პროკურატურა: გამოყოფს კომპანიებთან ურთიერთობისთვის საკონტაქტო პირს (Single Point of Contact); საჭიროების შემთხვევაში გააფორმებს კომპანიებსა და პროკურატურას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმებს; განახორციელებს ცალკეული კომპანიების სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის პოლიტიკის ანალიზს და კომპილაციას; თითოეულ კომპანიასთან ურთიერთობის სპეციფიკას ასახავს საერთაშორისო თანამშრომლობის სახელმძღვანელოში.

## 7.8. სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვება

ცალკეული სახელმწიფოები ზოგიერთი საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების მათ ტერიტორიაზე ჩასატარებლად, განსაზღვრული პირობების არსებობისას, არ ითხოვენ სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობას. მაგალითად, გაერთიანებული სამეფო მოწმის დისტანციურად დასაკითხად არ ითხოვს სამართლებრივი დახმარების ფორმალურ პროცესს, თუ მოწმე ჩვენების მიცემაზე თანახმაა. უცხო სახელმწიფოს ასევე შეუძლია საპროცესო დოკუმენტები სამართლებრივი დახმარების გარეშე პირდაპირ გაუგზავნოს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს.

ცენტრალური ორგანო მოიძიებს სხვა სახელმწიფოებში ამგვარ შესაძლებლობებს და ადვოკატირებას გაუწევს სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობებს.

## 7.9. სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ახალი ფორმები

ვიდეო და აუდიო საშუალებებით პირების დაკითხვა სამართლებრივი დახმარების შედარებით ახალი ფორმაა, რომელიც იძლევა ხარჯებისა და დროის დაზოგვის შესაძლებლობას. მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკოსები დახმარების ტრადიციულ ფორმებს მეტ უპირატესობას ანიჭებენ. დაიგეგმება ტრენინგები, რომლებიც მიმართული იქნება სამართლებრივი დახმარების მსგავსი ინოვაციური და ეკონომიური საშუალებების პრაქტიკაში გამოყენებაზე.

## 8. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება

### ა. არსებული მდგომარეობა

მაღალი ხარისხის საპროკურორო საქმიანობის განხორციელება პროკურატურის სისტემის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს. პროკურორმა უნდა უზრუნველყოს

სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის სწორად წარმართვა, გადაწყვეტილების დროულად მიღება, სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მაღალი პროფესიონალიზმითა და ეთიკური სტანდარტების დაცვით მხარდაჭერა.

საქართველოს პროკურატურა გარკვეული პერიოდულობით ახორციელებს როგორც სასამართლო პროცესებზე პროკურორების გამოსვლის, ასევე მათ მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები საფუძვლად ედება რეკომენდაციების შემუშავებასა და ტრენინგების დაგეგმვას.

პროკურორის მიერ შედგენილი დოკუმენტების დასაბუთებულობას და სტილისტურ გამართულობას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ საკითხზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, ვინაიდან პრაქტიკაში არ არსებობს საპროკურორო დოკუმენტების (დადგენილების, შუამდგომლობის) შედგენის ერთიანი სტანდარტი, პროკურორების მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტები სტრუქტურით და სამართლებრივი წერის სტილით რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ხარვეზებია ასევე მათი დასაბუთების კუთხით.

რაიონული პროკურორების ან მათი მოადგილეების ფუნქციები, ხშირ შემთხვევაში, არ არის ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული, რაც გარკვეულწილად აფერხებს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

პროკურატურაში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ, რიგ შემთხვევებში, პროკურორთა შორის საქმეების რაოდენობა არათანაბრადაა გადანაწილებული. აღნიშნული იწვევს პროკურორთა გარკვეული ნაწილის ზედმეტ დატვირთვას, რაც აისახება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

რეფორმის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი სისტემა, რომელიც პროკურორთა მუშაობის ხარისხის ამაღლებასთან ერთად მნიშვნელოვნად შეამცირებს საპროკურორო საქმიანობის ხარჯებს.

ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება სისხლის სამართლის სისტემის რეფორმისა და მისი გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ამ მიმართულებით ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოებს რამდენიმე ათეული წლის გამოცდილება და მუდმივად განვითარებადი სისხლის სამართლის პოლიტიკა აქვთ.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს პროკურატურა ინტენსიურ კვლევით და ანალიტიკურ საქმიანობას ეწევა იმ მიზნით, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოს დანაშაულთან ბრძოლის ადეკვატური, პროპორციული და ერთგვაროვანი მიდგომები.

ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით მომდევნო წლების სტრატეგიული აქტივობები უკვე არსებული სახელმძღვანელო პრინციპების მოდერნიზაციას და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ მისადაგებას, ასევე ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებას დაეთმობა.

გამომძიებლები, საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების პროცესში, ხშირ კომუნიკაციას ამაყარებენ პროკურორებთან და აზუსტებენ პროცედურულ საკითხებს. აღნიშნული იწვევს პროკურორისა და გამომძიებლის ფუნქციების ერთმანეთში აღრევას და წარმოშობს ეჭვებს გამომძიებლის პროცესით პროკურორის პირადი დაინტერესების შესახებ. მაღალი ხარისხის საპროკურორო საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობა.

### **ბ. მიზნები**

- ✓ პროკურორის მიერ შედგენილი დოკუმენტების დასაბუთებისა და სამართლებრივი წერის ხარისხის ამაღლება;
- ✓ რაიონულ პროკურორებსა და რაიონული პროკურორის მოადგილეებს შორის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა;
- ✓ საქმეთა გადაწვლილების სამართლიანი სისტემის შექმნა;
- ✓ პროკურორთა მიერ შედგენილი დოკუმენტებისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციური მხარდაჭერა;
- ✓ ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა;
- ✓ ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება;
- ✓ პროკურორსა და გამომძიებელს შორის ფუნქციების მკვეთრი გამიჯვნა.

### **გ. მიზნის მიღწევის გზები**

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად საქართველოს პროკურატურა გეგმავს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:



### 8.1. სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს დანერგვა

უკვე შექმნილია სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია სამართლებრივი წერის ზოგადი სტანდარტები და დეტალურადაა გაწერილი პროკურორის მიერ შესადგენი ყველა ძირითადი დოკუმენტის სავალდებულო რეკვიზიტები.

სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს პრაქტიკაში დანერგვა საფუძველს ჩაუყრის საპროკურორო დოკუმენტების (დადგენილებების, შუამდგომლობების) წერის ერთიანი სტანდარტის დანერგვას. ერთიანი სტანდარტის დანერგვა არ გულისხმობს პროკურორის რაიმე ფორმით შეზღუდვას კონკრეტული გადაწყვეტილების დასაბუთების თვალსაზრისით. აღნიშნული სახელმძღვანელო პროკურორს დაეხმარება დოკუმენტის შედგენისას ყურადღება გაამახვილოს ყველა მნიშვნელოვან ელემენტზე, რაც თავის მხრივ დოკუმენტის სრულყოფილებას უზრუნველყოფს. გარდა იმისა, რომ სახელმძღვანელო აამაღლებს პროკურორების მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტების ხარისხს, დაეხმარება მათ ყოველდღიურ საქმიანობაში და მეტ-ნაკლებად გაუმარტივებს მუშაობას.

### 8.2. ფუნქციათა გამიჯვნა

პროკურატურის სტრუქტურის უკეთ ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია რაიონული პროკურორებისა და მათი მოადგილეების ფუნქციების გადახედვა, მათი ფუნქციების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

შეიქმნება დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნება რაიონული პროკურორებისა და მათი მოადგილეების ფუნქციები. რაიონული პროკურორების მოადგილეები, სხვა ფუნქციებთან ერთად, პასუხისმგებელი იქნებიან მოქალაქეებთან ურთიერთობაზე, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების გაზრდაზე.

### 8.3. საქმეთა გადანაწილების სისტემის რეფორმა

შეიქმნება საქმეთა გადანაწილების ისეთი მოქნილი სისტემა, რომელიც მეტ-ნაკლებად სამართლიანად დატვირთავს პროკურორებს. პროკურორების მიმაგრება მოხდება არა

კონკრეტულ საგამომძიებო რგოლებზე, არამედ კონკრეტულ გამომძიებლებზე მათ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობის გათვალისწინებით.

შეიქმნება ასევე პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდული, რაც მენეჯერებს მისცემს პროკურორთა დატვირთვის მუდმივი კონტროლის, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით დატვირთვის შეფასებისა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას.

#### **8.4. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი**

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების, მეთოდოლოგიის მიხედვით, მუდმივ რეჟიმში განხორციელდება პროკურორთა საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი. ამ მიზნით, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მუდმივად მოხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა, პროკურორების მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტების შემოწმება და სასამართლო სხდომების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები, დაიგეგმება ტრენინგები.

#### **8.5. ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა**

საქართველოს პროკურატურის რესურსების ეფექტურად გამოყენება უწყების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. იმისათვის, რომ მოხდეს ხარჯების შემცირება და არსებული რესურსების მაქსიმალურად მიზანმიმართულად გამოყენება, საქართველოს პროკურატურაში შემუშავდება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ხარჯთაღრიცხვის პროგრამა.

ხარჯების შემცირების მიზანი გათვალისწინებული იქნება სისხლის სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში (გაიდლაინებში, რეკომენდაციებში) და პროკურორთა შეფასების სისტემაში (მაგ.: გადაწყვეტილებების შემჭიდროებულ ვადებში მიღება, საპროკურორო საქმიანობისას ნაკლები ფინანსური რესურსების დახარჯვა, გავლენას მოახდენს პროკურორის შეფასებაზე).

## 8.6. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა

თანამედროვე გამოწვევებზე მორგებული სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებისთვის განხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპებისა და რეკომენდაციების გადახედვა-შემუშავება, რაც თავის მხრივ, ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

შემუშავდება რეკომენდაცია აღკვეთის ღონისძიების და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გასათვალისწინებელი გარემოებებისა და გამოსაყენებელი სარეკომენდაციო პირობების შესახებ იმ მუხლებზე, რომლებზეც ყველაზე ხშირად იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა.

შემუშავდება რეკომენდაცია დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებების შესახებ.

ამგვარი რეკომენდაციების არსებობა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ერთგვაროვან სისხლის სამართლის პოლიტიკას, არამედ დააჩქარებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და შესაბამისად, გააუმჯობესებს საპროკურორო საქმიანობის ხარისხს.

## 8.7. გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დანერგვა

გამომძიებელსა და პროკურორს შორის მიჯაჭვულობის შემცირების მიზნით, საქართველოს პროკურატურის ინიციატივით, პრაქტიკაში უნდა დაინერგოს პროკურორებისა და შს სამინისტროს გამოძიებლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, რომელშიც გაწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების პროცედურები (მათი ჩატარების მეთოდოლოგია). კერძოდ, თანმიმდევრულად არის გაწერილი ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების დაგეგმვის, მომზადებისა და ჩატარების სტადიები.

განხორციელდება კოორდინაცია შს სამინისტროს პოლიციის აკადემიასთან, რათა მოხდეს აღნიშნული სახელმძღვანელოს დანერგვა პოლიციის გამოძიებლების გადამზადების კურსში.

## 9. საზოგადოების ნდობის ამაღლება

### ა. არსებული მდგომარეობა

სამართალდამცავი ორგანოების წარმატებული საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების ნდობაზე. შესაბამისად, პროკურატურის ერთ-ერთი მიზანია პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება და მასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

პროკურატურის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია საზოგადოების ინტერესების მყისიერი და სრული დაკმაყოფილება. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული გამოწვეულია გამოძიების ინტერესებით. პროკურატურამ ხელი უნდა შეუწყოს ინფორმაციის გაცემას და რიგ შემთხვევებში მის პროაქტიურ გამოქვეყნებას.

ინფორმაციის გაცემისას თითოეული პროკურორის მიერ დაცული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, იმ ფარგლებში და იმგვარად, რომ არ მოხდეს სხვა პირის პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების შემცველი, აგრეთვე გამოძიების ინტერესების საწინააღმდეგო ინფორმაციის გასაჯაროება.

საქართველოს კანონმდებლობა დეტალურად არ არეგულირებს საქართველოს პროკურატურის მიერ ინფორმაციის გავრცელების საკითხს. ამასთან, არ არსებობს რაიმე ტიპის შიდა დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა საქართველოს პროკურატურის მიერ მედიისთვის ინფორმაციის მიწოდების წესები და სტანდარტები. შესაბამისად, მედიის წარმომადგენლებისა და საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის უცნობია საქართველოს პროკურატურის მედიაპოლიტიკა. რიგ შემთხვევებში მედიის წარმომადგენლებისთვის გაუგებარია საქართველოს პროკურატურის პოზიცია, როდესაც ინფორმაცია არ საჯაროვდება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი გზა სახელმწიფო უწყების ოფიციალური ვებგვერდია, რომლით დაინტერესების ხარისხს განსაზღვრავს მისი დახვეწილი დიზაინი, მოხმარების სიმარტივე, მოქალაქისთვის საჭირო ან/და აქტუალური ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა.

დღეის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურის ვებგვერდი სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლის ინტერესს. კერძოდ, საიტზე არ არის განთავსებული ყველა ის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია პროკურატურის საქმიანობასთან; რთულია ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის მოძიება; საიტი არ იძლევა ვიდეოფაილების ატვირთვის შესაძლებლობას; არ შეიცავს პროკურატურაში დასაქმების მსურველთათვის საჭირო ინფორმაციას; ვერ აწვდის სრულყოფილ ინფორმაციას პროკურატურის პროექტების შესახებ; ვებგვერდი ნაკლებ საინტერესოა მოქალაქეებისთვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და არასრულწლოვნებისათვის; შეუძლებელია ვიზიტორთა რაოდენობის დათვლა და სხვა.

პროცესის მონაწილეთა ინტერესების დაცვის მიზნით, 2011 წლიდან საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოქმედებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომელიც შეიქმნა აშშ-ს მხარდაჭერით. აღნიშნული სამსახურის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს პროკურორსა და პროცესის მონაწილეებს შორის კომუნიკაციის გამარტივება და მათთვის სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები სისხლის სამართლის საქმეში ძირითადად ერთგვებიან მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმეზე პროკურორი დაიწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას ან/და საქმე გადაეცემა სასამართლოს. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების საქმიანობის ანალიზით დგინდება, რომ დაზარალებულთა კმაყოფილებისთვის გადამწყვეტია მათი ფსიქო-სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება, საჭირო სერვისების მოძიება და მათთვის შეთავაზება, რაც გამოძიების დაწყებისთანავე კოორდინატორების სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის აუცილებლობას წარმოშობს.

დღეის მდგომარეობით პროკურატურის წარმომადგენლებთან მოქალაქეთა კომუნიკაცია არ რეგულირდება რაიმე დოკუმენტით. ამ საკითხთან დაკავშირებით თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს აქვს თავისი მიდგომა და არ არსებობს მოქალაქეებთან კომუნიკაციისა და მათთან შეხვედრების ჩანიშვნის ერთიანი სტანდარტი.

მოქალაქეებთან ურთიერთობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აგრეთვე პროკურატურაში განცხადების ელექტრონულად შეტანის სერვისი, რომლის შესაძლებლობა დღეის მდგომარეობით არ არსებობს.

### **ბ. მიზნები**

- ✓ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება;
- ✓ მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბება;
- ✓ პროკურატურის გამჭვირვალობის გაზრდა;
- ✓ პროკურატურის ვებგვერდის დახვეწა და მომხმარებლებზე ორიენტირებული ელექტრონული სივრცის შექმნა;
- ✓ კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია;
- ✓ პროცესის მონაწილეების ინფორმირების გზების სრულყოფა;
- ✓ მოქალაქეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

### **გ. მიზნის მიღწევის გზები**

საქართველოს პროკურატურა საზოგადოებრივი ნდობის ასამაღლებლად გაატარებს შემდეგი სახის ღონისძიებებს:

#### **9.1. მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბება**

საქართველოს პროკურატურა აღიარებს მედიის მნიშვნელოვან როლს სისტემის გამჭვირვალობის ხარისხის თვალსაზრისით და გამოხატავს მზადყოფნას დაეხმაროს მედიის წარმომადგენლებს პროკურატურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებაში.

საქართველოს პროკურატურაში შემუშავდება დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს საქართველოს პროკურატურასა (პროკურორებსა და გამომძიებლებს) და მედიას შორის კომუნიკაციას და განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით მედიისთვის ინფორმაციის მიწოდების სტანდარტებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბება და ინფორმაციის იმგვარი გავრცელების პრაქტიკის დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს ადამანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

აღნიშნული დოკუმენტი გასაცნობად წარედგინება საქართველოს პროკურატურის ყველა მუშაკს და მედიის წარმომადგენელს, რათა მათ ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ საქართველოს პროკურატურის მედიაპოლიტიკის შესახებ.

პროკურატურის ყველა ტერიტორიულ ორგანოში შეიქმნება და მომზადდება პრესსპიკერი და პროკურატურისა და მედიის წარმომადგენლებისათვის ჩატარდება ერთობლივი სემინარები.

## 9.2. პროკურატურის ვებგვერდის განახლება

განახლება საქართველოს პროკურატურის ვებგვერდი, რათა იგი იყოს უფრო გამართული, ინფორმაციული და ყველა ვიზიტორისთვის თანაბრად საინტერესო. ვებგვერდის მეშვეობით საქართველოს პროკურატურა მარტივი და გასაგები ენით პროაქტიურად მიაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას საზოგადოებას პროკურატურის საქმიანობის, როლის, დანიშნულების, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის, სისხლის სამართლის პოლიტიკისა და პროკურატურის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. განახლებული ვებგვერდი შეასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისითაც.

ამგვარი ცვლილებები, ერთი მხრივ, გაზრდის საიტით დაინტერესებულ პირთა წრეს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს პროკურატურის ცნობადობას, მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებასა და დანაშაულის პრევენციას.

## 9.3. კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია

საქართველოს პროკურატურა გეგმავს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერებას, ფუნქციების გაფართოებას და კოორდინატორების მიერ შეძენილი გამოცდილების ახალი მიმართულებებით წარმართვას. კერძოდ, გამოძიების საწყის ეტაპზევე კოორდინატორი ჩაერთვება ოჯახური დანაშაულის, სექსუალური ძალადობის, ტრეფიკინგის და ასევე იმ სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებშიც ფიგურირებს არასრულწლოვანი დაზარალებული.

დაზარალებულთათვის საჭირო დახმარების აღმოჩენის მიზნით, მოხდება ყველა იმ სტრუქტურასთან და არასამთავრობო ორგანიზაციასთან კოორდინაცია, რომლებიც ძალადობის მსხვერპლებს სთავაზობენ ამა თუ იმ სახის მომსახურებას, რათა

კოორდინატორმა დაუყოვნებლივ შეძლოს დაზარალებულის გადამისამართება სერვისის მიმწოდებელთან.

კოორდინატორების უფლება-მოვალეობების შესახებ შემუშავდება ბროშურები და ჩატარდება სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ღონისძიება, რაც აამაღლებს საზოგადოების ცნობადობას მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ფუნქციების შესახებ და ხელს შეუწყობს პროცესის მონაწილეებს შორის სწორი კომუნიკაციის ჩამოყალიბებას.

#### **9.4. მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტისა და ელექტრონული პროგრამის შექმნა**

შემუშავდება დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნება პროკურატურის მუშაკის მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტანდარტები. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს მოქალაქეთა და პროკურატურის თანამშრომელთა ეფექტიან კომუნიკაციას.

მოქალაქეებისთვის პროკურატურასთან კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, პროკურატურა შეიმუშავებს ელექტრონული განაცხადის ფორმას, რომლის მეშვეობით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ ელექტრონულად შეიტანონ განცხადება პროკურატურაში. ამასთან, განმცხადებელს შესაძლებლობა ექნება, სახლიდან გაუსვლელად, ელექტრონულად მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის აწერია განსახილველად მის მიერ პროკურატურაში შეტანილი განცხადება.

გარდა ამისა, მოქალაქეებს მიეცემათ შესაძლებლობა ინტერნეტის საშუალებით ჩანიშნონ შეხვედრა პროკურორთან.

პროკურორების მხრიდან მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა და მოქალაქეთა კმაყოფილება გათვალისწინებული იქნება პროკურორების შეფასებისას, ასევე მათი დატვირთვის გაანგარიშებისას.

#### **9.5. სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება**

მოხდება საზოგადოების პროაქტიური ინფორმირება პროკურატურის მიერ წარმოებადი სტატისტიკური მონაცემების შესახებ. საქართველოს მთავარი პროკურატურის ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით გამოქვეყნდება არა მხოლოდ სტატისტიკური



მონაცემები, არამედ აღნიშნული მონაცემების საფუძველზე განხორციელებული ანალიტიკური კვლევები.

## 10. დანაშაულის პრევენცია

### ა. არსებული მდგომარეობა

დანაშაულის პრევენციაში პროკურატურის აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან პროკურატურა წარმოადგენს იმ ერთადერთ ორგანოს, რომელსაც კავშირი აქვს ყველა საგამომიებო უწყებასა და სასამართლოსთან. მას აქვს შესაძლებლობა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს დანაშაულის პრევენციის საქმეში.

მოცემულ ეტაპზე დანაშაულის პრევენციით რამდენიმე სახელმწიფო უწყებაა დაკავებული. პრევენციული ღონისძიებების განხორციელება აქტიურად ხდება ასევე არასამთავრობო სექტორის მიერ. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე ჯგუფებთან ხორციელდება ერთი და იმავე შინაარსის პრევენციული ღონისძიება.

საქართველოს პროკურატურაში პრევენციული ღონისძიებები იგეგმება ცენტრალური აპარატის მიერ და ისინი მხოლოდ განსახორციელებლად გადაეცემა ადგილობრივ სტრუქტურულ ერთეულებს. პრევენციული ღონისძიებების ამგვარი დაგეგმვის პროცესში ნაკლებად ხდება კონკრეტული რეგიონისთვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინება.

საზოგადოების წევრები ნაკლებად არიან ჩართული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც საზოგადოების წევრებს მისცემს პრევენციული ღონისძიებების ინიცირების, დაგეგმვისა და წარმართვის შესაძლებლობას.

პრევენციული ღონისძიებების შემუშავებისას არ ხდება მეცნიერული მიდგომების გათვალისწინება. სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ფაქტობრივად არ მონაწილეობენ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმების შემუშავების პროცესში.

მოცემულ ეტაპზე არ არსებობს გატარებული პრევენციული ღონისძიების ბაზა, სტანდარტი და შეფასების მექანიზმი. შესაბამისად, სამართალდამცავ უწყებებს არ აქვთ ყველაზე ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გამოვლენის შესაძლებლობა.

საქართველოს პროკურატურა 2006 წლიდან დღემდე ახორციელებს პროექტს - საზოგადოებრივი პროკურატურა. საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში პროკურორების უშუალო ორგანიზებით წელიწადში ათეულობით პრევენციული ღონისძიება ტარდება. ამ ეტაპზე, საქართველოს 28 რაიონული პროკურატურიდან პროექტში ჩართულია 20 რაიონული პროკურატურა.

### **ბ. მიზნები**

- ✓ პრევენციული ღონისძიებების განმახორციელებელ სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან კოორდინაციის გაზრდა;
- ✓ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში პროკურატურის ადგილობრივი სტრუქტურული ერთეულების უშუალო ჩართვა;
- ✓ პრევენციული ღონისძიებების ინიცირებასა და დაგეგმვის პროცესში საზოგადოების წევრების ჩართვა;
- ✓ პრევენციული ღონისძიებების შემუშავებაში მეცნიერული მიდგომების გათვალისწინება;
- ✓ პრევენციული ღონისძიებების პროგრამისა და მათი ეფექტურობის შეფასების სისტემის შექმნა;
- ✓ საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების გაზრდა.

### **გ. მიზნის მიღწევის გზები**

აღნიშნული მიზნების მისაღწევად საქართველოს პროკურატურა წინამდებარე სტრატეგიის ფარგლებში განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

#### **10.1. ადგილობრივი საბჭოების შექმნა**

დანაშაულის პრევენციის პროცესში ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინების, კოორდინაციის გაზრდისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ყველა რეგიონში შეიქმნება დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭო. ადგილობრივი საბჭო წარმოადგენს რეგიონულ დონეზე შექმნილ საკოორდინაციო ორგანოს, რომელშიც გაწევრიანებული არიან სამართალდამცავი

ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადოების წევრები.

ადგილობრივი საბჭოს ფუნქციას განიხილოს რეგიონში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობა, მიიღოს გადაწყვეტილებები რეგიონისთვის საჭირო პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, შეიმუშავოს ინიციატივები და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით დასახოს დანაშაულის შემცირების კოორდინირებული გეგმა.

ადგილობრივი საბჭოები წლის განმავლობაში რეგიონში ჩაატარებენ რამდენიმე შეხვედრას და მათი საქმიანობის ამსახველ შედეგებს ყოველწლიურად წარუდგენენ პროკურატურაში არსებულ საკონსულტაციო საბჭოს.

## **10.2. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შექმნა**

დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მეცნიერული მიდგომების გათვალისწინების მიზნით შეიქმნება კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს პროკურატურასთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოს. მისი წევრები იქნებიან სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომლები და მოწვეული ექსპერტები.

სამუშაო ჯგუფი ჩაერთვება პროკურატურის ანალიტიკურ საქმიანობაში, მონაწილეობას მიიღებს კონკრეტულ დანაშაულებთან დაკავშირებით მომზადებული ანალიზების განხილვასა და კვლევების განხორციელებაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონკრეტული დანაშაულის სპეციფიკაზე ორიენტირებული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას.

## **10.3. პრევენციული ღონისძიებების პროგრამისა და მათი ეფექტიანობის შეფასების სისტემის შექმნა**

პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენისა და გავრცელების მიზნით მოხდება პრევენციული ღონისძიებების სტანდარტიზაცია.

პრევენციული ღონისძიებების სტანდარტიზაცია გულისხმობს პროგრამის შექმნას, რომელშიც მოცემული იქნება პროკურატურის მიერ განხორციელებული ყველა პრევენციული ღონისძიება. პროგრამაში აისახება პროექტის ავტორის ვინაობა; დანაშაული, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული ღონისძიება; რა ხარჯები იქნა გაწეული მის განხორციელებლად; რა შედეგი იქნა მიღწეული და რა სირთულეები ახლდა მის განხორციელებას.

პროგრამა ხელმისაწვდომი იქნება პროკურატურის რეგიონული და ცენტრალური ოფისების ხელმძღვანელებისა და იმ პირებისთვისაც, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან კონკრეტულ უწყებასა და რეგიონში დანაშაულის პრევენციაზე. პროგრამა მათ მისცემს სხვა რეგიონში უკვე განხორციელებული პრევენციული ღონისძიების გაცნობის შესაძლებლობას. აღნიშნული უზრუნველყოფს რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით სწორი პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

აღნიშნულ პროგრამაში მუშაობისა და ამ პროგრამაზე წვდომის შესაძლებლობა ექნებათ სხვა სამართალდამცავ უწყებებსაც. ეს ხელს შეუწყობს პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის დროს კოორდინაციის ამაღლებას და ამ მიმართულებით რესურსების დაზოგვას.

#### **10.4. საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების ზრდა**

ვინაიდან საზოგადოებრივი პროკურატურა წარმოადგენს პრევენციული ღონისძიებების განხორციელების კარგ შესაძლებლობას, გაიზრდება მისი სამოქმედო არეალი. კერძოდ, პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში ჩაერთვება ყველა რაიონული პროკურატურა. გარდა პრევენციული ღონისძიებების გატარებისა, სოციალურ ქსელში შეიქმნება პროკურატურის მეგობართა ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანების შესაძლებლობა ექნებათ საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტში ჩართულ პირებს. ისინი მიიღებენ სრულყოფილ ინფორმაციას საზოგადოებრივი პროკურატურის აქტივობების შესახებ, სურვილის შემთხვევაში წარმოადგენენ საკუთარ პროექტებს და პროკურატურასთან ერთად ჩაერთვებიან მათ განხორციელებაში.

## 11. სამუშაო გარემოს გაუმჯობესება

### ა. არსებული მდგომარეობა

სამუშაო გარემო დიდ გავლენას ახდენს თითოეული თანამშრომლის პროდუქტიულობაზე. ხშირად აღნიშნული ფაქტორი იწვევს თანამშრომლის შრომისუნარიანობის მნიშვნელოვნად გაზრდას ან პირიქით - მისი აქტიურობისა და შესაძლებლობების მინიმუმამდე დაყვანას.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები ქვეყნის ყველა ტერიტორიულ ერთეულში ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებენ ტექნიკური თვალსაზრისით კარგად აღჭურვილ და კეთილმოწყობილ სამუშაო პირობებში, თუმცა ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული სირთულეები.

საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში მომუშავე გამომძიებლებსა და პროკურორებს, რომლებსაც გააჩნიათ თითქმის იდენტური სამუშაო, უწევთ სრულიად განსხვავებულ, არასტანდარტიზებულ გარემოში მუშაობა. მაგალითად, თუ ერთი კონკრეტული პროკურორი საქმიანობს სათანადოდ აღჭურვილ და იზოლირებულ ოთახში, მეორე, ანალოგიურ პოზიციაზე დასაქმებულ პროკურორს 5, 7 და ზოგჯერ 10-ზე მეტ კოლეგასთან ერთად, ერთ ოთახში უწევს მუშაობა, რაც, ბუნებრივია, საბოლოო შედეგებზე უარყოფითად აისახება. ასევე, განსხვავებული წესითა და სტანდარტებით არის აღჭურვილი მათი სამუშაო ოთახები. მსგავსი გარემოს არსებობა ხელს შეუშლის შეფასების სისტემის გამართულ მუშაობას, რადგან განსხვავებულ პირობებში მყოფი პროკურორების შეფასება ერთიანი სტანდარტით ფაქტიურად შეუძლებელია.

ჩატარებულმა შიდაორგანიზაციულმა კვლევებმა ცხადყო, რომ სამუშაო ოთახების გადატვირთულობის გამო თანამშრომელთა ნახევარზე მეტს ყოველდღიურ საქმიანობაში დისკომფორტი ექმნება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ საქართველოს პროკურატურის ადმინისტრაციული შენობები, შიდა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რიგ შემთხვევებში, ვერ აკმაყოფილებს ინკლუზიური გარემოს მინიმალურ სტანდარტებს, მაშინ, როდესაც ორგანიზაცია იძლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისა და მათი პროკურატურის გუნდში სრულფასოვანი ინტეგრაციის შესაძლებლობას.

საქართველოს პროკურატურის ყველა პროკურორი და გამომძიებელი 2010 წლიდან მუშაობს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში. აღნიშნული

პროგრამა საჭიროებს დახვეწას, რაც პირველ რიგში გულისხმობს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან პროგრამის სრულ შესაბამისობაში მოყვანას, ასევე მისთვის დამატებითი ფუნქციების მინიჭებას.

საქართველოს პროკურატურას აქვს შიდა მოხმარების ქსელი, რომლის შესაძლებლობების გაფართოება მნიშვნელოვან კომფორტს შეუქმნის პროკურატურის ყველა მუშაკს ყოველდღიურ საქმიანობაში.

### **ბ. მიზნები**

- ✓ სამუშაო პირობების სტანდარტიზაცია;
- ✓ სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება;
- ✓ შიდა მოხმარების ქსელის დახვეწა.

### **გ. მიზნის მიღწევის გზები**

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

#### **11.1. სამუშაო პირობების სტანდარტიზაცია**

საქართველოს პროკურატურა, რომელიც გარდა საგამომიებო და საპროკურორო საქმიანობისა, აქტიურად არის დაკავებული პრევენციული, ანალიტიკური და სხვა ინოვაციური პროექტებით, საჭიროებს მრავალფეროვან, მაგრამ ამავდროულად მკაცრად სტანდარტიზებულ სამუშაო გარემოს.

ბუნებრივია, სამუშაო გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სტანდარტიზაცია ვერ მოხდება მყისიერად, ვინაიდან იგი არა მხოლოდ ინტელექტუალურ ძალისხმევას, არამედ მნიშვნელოვან საბიუჯეტო რესურსებს მოითხოვს. შესაბამისად, ხსენებული პროცესი ეტაპობრივად, თუმცა გონივრულ ვადებში განხორციელდება.

საწყის ეტაპზე მოხდება ორგანიზაციის ადმინისტრაციულ შენობებთან, საოფისე ტექნიკა-მოწყობილობასთან, სხვა სამეურნეო ინფრასტრუქტურასა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული საჭიროებების იდენტიფიცირება, რომლის შემდგომ განხორციელდება უკვე არსებული ადმინისტრაციული შენობების, საოფისე ტექნიკა-მოწყობილობისა და სხვა სამეურნეო ინფრასტრუქტურის უფრო ეფექტიანი გადანაწილება.

რაც შეეხება რესურსების შემდგომ ოპტიმიზაციას, აღნიშნული პროცესი სტანდარტიზაციის ერთიანი სტრატეგიის შემუშავებისა და პროკურატურის სისტემისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო რესურსების რაციონალურად გამოყენების გზით განხორციელდება.

სამუშაო გარემოს სტანდარტიზაციის პროცესში გათვალისწინებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები.

## **11.2. სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება**

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა მნიშვნელოვნად ამარტივებს პროკურორებისა და გამომძიებლების ყოველდღიურ საქმიანობას. თუმცა, დღის წესრიგში დგას პროგრამის ეფექტიანობის ზრდის საკითხი.

გადაიდგმება ნაბიჯები სასამართლოსთან, საექსპერტო დაწესებულებებსა და იმ სტრუქტურებთან სისტემის ინტეგრაციისკენ, რომლებთანაც ყველაზე ხშირი კომუნიკაცია აქვთ სამართალდამცავ ორგანოებს. აღნიშნულ უწყებებთან სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ინტეგრაცია მნიშვნელოვნად დაზოგავს მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

ასევე, პროგრამაში განხორციელდება იმგვარი ცვლილებები, რომლებიც საქართველოს პროკურატურას სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოების შესაძლებლობას მისცემს.

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები ასევე შესაძლებელს გახდის თითოეული პროკურორის დატვირთვის ანალიზს და საქმიანობის შეფასებას.

## **11.3. შიდა მოხმარების ქსელის დახვეწა**

შიდა მოხმარების ქსელი მუდმივად საჭიროებს განვითარებას და პროკურორების ინტერესების გათვალისწინებით გარკვეული ცვლილებების განხორციელებას. შიდა მოხმარების ქსელის გასაუმჯობესებლად პირველ რიგში გაანალიზდება პროკურატურის თანამშრომელთა საჭიროებები.

შიდამოხმარების ქსელს დაემატება შეხვედრების ორგანიზების, დაგეგმილი ტრენინგების, აქტივობების გაცნობისა და მათში ჩართვის ინიციატივის გამოხატვის ფუნქცია.

შიდამოხმარების ქსელის საშუალებით პროკურატურის მუშაკები მიიღებენ შეტყობინებებს საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შიდამოხმარების ქსელს დაემატება ყველა ის ფუნქცია, რომელთა აუცილებლობა გამოიკვეთება პროკურორების საჭიროებების კვლევის შედეგად.

## 12. თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება

### *ა. არსებული მდგომარეობა*

საქართველოს პროკურატურა ორიენტირებულია სისტემა დაკომპლექტებული იყოს კვალიფიციური და მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისი კადრებით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროკურატურის მოქმედი თანამშრომლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადების პროცესი სისტემატურად ხორციელდება.

სასწავლო პროექტები იგეგმება პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. პროკურატურის სისტემის თანამშრომლებისთვის ყოველწლიურად საშუალოდ 150 სასწავლო აქტივობა ხორციელდება. პროკურორები და სისტემის გამომძიებლები მომზადებას გადიან: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და მისი შესრულების მექანიზმების, კონკრეტული დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის, მოსალოდნელი და განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევების, დაკითხვა-გამოკითხვის ტექნიკებისა და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებებით.

პროექტები ხორციელდება როგორც ადგილობრივი რესურსის, ასევე საერთაშორისო ექსპერტების მოწვევისა და საზღვარგარეთ განხორციელებულ სასწავლო კურსებში მონაწილეობის გზით. ამ მიმართულებით საქართველოს პროკურატურა თანამშრომლობს სხვადასხვა დონორ ორგანიზაციასთან.

იმის გათვალისწინებით, რომ პერიოდულად ხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები და საქართველოს პროკურატურის წინაშე დგება ახალი გამოწვევები, თანამშრომელთა



კვალიფიკაციისა და პროფესიული სტანდარტის ამაღლება საქართველოს პროკურატურის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

### **ბ. მიზნები**

- ✓ პროკურატურის სისტემის მაღალკვალიფიური და პროფესიონალი კადრებით უზრუნველყოფა;
- ✓ პროკურატურის სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა;
- ✓ კონკრეტულ დანაშაულებზე გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- ✓ ერთგვაროვანი პრაქტიკისა და მიდგომების დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ✓ სხვადასხვა სამოქმედო გეგმით პროკურატურის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;
- ✓ თანამშრომელთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ იურიდიული განათლების პოპულარიზაცია და საუნივერსიტეტო წრეებთან თანამშრომლობა;
- ✓ თანამშრომლებისთვის მოქნილი ელექტრონული პროდუქტების განვითარება.

### **გ. მიზნების მიღწევის გზები**

#### **12.1. თანამშრომლების მომზადება/გადამზადება**

საქართველოს პროკურატურის სტრატეგიულ მიზნებზე, არსებულ გამოწვევებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით, პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრი ყოველი წლის ბოლოს ადგენს მომავალი წლის სამოქმედო გეგმას.

დაიგეგმება სასწავლო პროექტები პროკურორების, პროკურატურის გამომძიებლების, სტაჟიორების, კოორდინატორების, მრჩეველებისა და სპეციალისტების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დისტანციური სასწავლო პროგრამების დანერგვის მიზნით, პროკურატურის

თანამშრომლები ყოველწლიურად ჩაერთვებიან HELP-ის პლატფორმაში მომზადებულ სასწავლო კურსებში.

ყველა პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი გაივლის მიზნობრივ ტრენინგებს, მათ შორის სამართლებრივი წერის, პროფესიული ეთიკის ახალი სტანდარტების, დისკრიმინაციის აკრძალვის, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის, სასამართლო უნარ-ჩვევებისა და სხვა პრიორიტეტული მიმართულებით. საერთო მიდგომების ჩამოყალიბებისა და კოორდინაციის ზრდის მიზნით, ჩატარდება ერთობლივი სასწავლო აქტივობები პროკურორების, მოსამართლეების, ადვოკატების, გამომძიებლებისა და მიზნობრივი ჯგუფების მონაწილეობით.

წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების, უცხოელი ექსპერტების მოწვევისა და საზღვარგარეთ სასწავლო ვიზიტების განხორციელების მიზნით, შედგება მჭიდრო თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებთან.

თანამშრომელთათვის ტრენინგების დაგეგმვისას მხედველობაში იქნება მიღებული ის საჭიროებები, რომლებიც გამოვლინდება მათი საქმიანობის შეფასებისას.

## 12.2. ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა

გრძელვადიანი შედეგის მისაღწევად, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ცენტრში დაინერგება ახალი სასწავლო პროგრამები, რომლებიც აგებული იქნება სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებზე. ამ ეტაპისთვის ცენტრში უკვე მომზადებული და დანერგილია სასწავლო პროგრამები შემდეგი მიმართულებებით: სტაჟიორთა მოსამზადებელი კურსი, დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სტანდარტები, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, არასრულწლოვანთა სპეციალიზაციის კურსი, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთების ევროპული სტანდარტი, სამართლებრივი წერა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები და კომუნიკაციის სტანდარტები.

ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება კვლავ გაგრძელდება მომდევნო 5 წლის განმავლობაში. კერძოდ, სასწავლო პროგრამები შემუშავდება შემდეგ თემებზე: ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობა, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, ტერორიზმის

დაფინანსება და ფულის გათეთრება, პროფესიული ეთიკის განახლებული სტანდარტები, იურიდიული პირების პასუხისმგებლობა, კორუფციული დანაშაულები და სხვა.

სასწავლო პროგრამებისა და მასალების მომზადების პროცესში ჩაერთვებიან როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ექსპერტები. ტრენერებისა და მსმენელებისთვის მომზადდება სახელმძღვანელო მასალები. სისტემის წარმომადგენლებისთვის ჩატარდება ტრენერთა ტრენინგები.

### **12.3. მოქმედი მენეჯერებისა და მომავალი ლიდერების განვითარების პროგრამის დანერგვა**

საქართველოს პროკურატურა აქტიურად იყენებს უწყების შიგნით კადრების როტაციისა და დაწინაურების სისტემას, რომლის მიზანია გამოცდილი და კვალიფიციური პერსონალის წახალისება და მათი მომავალი განვითარების უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კანდიდატს გააჩნდეს ვაკანტური პოზიციისათვის შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება, უნარ-ჩვევები და პიროვნული მახასიათებლები.

იმისათვის, რომ თანამშრომელი მზად შეხვდეს ახალ პროფესიულ გამოწვევებს, განხორციელდება მათი მიზნობრივი მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, მათ შორის სპეციალიზებული და პროფესიული უნარ-ჩვევების მიმართულებებით.

ასევე, განხორციელდება მოქმედი მენეჯერებისა და საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების მიზნობრივი განვითარება. დაიგეგმება სასწავლო პროგრამები გუნდის მართვის, ლიდერობის, მოტივაციის, საქმის სწორად დელეგირების, დროის მართვისა და სხვა შესაბამის თემებზე.

ამასთან, შეფასების სისტემის შედეგების, თანამშრომელთა უნარებისა და აქტივობის მიხედვით, მოხდება ლიდერული პოტენციალის მქონე კადრების შერჩევა, რომელთათვისაც დაიგეგმება სპეციალური განვითარების პროგრამები.

### **12.4. მენტორების პროგრამის დანერგვა და ამოქმედება**

მენტორობის პროგრამა გულისხმობს კომპეტენტური თანამშრომლების მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას დამწყები პროკურორისთვის/გამომძიებლისთვის, რაც ხელს შეუწყობს ახალი თანამშრომლის ადაპტაციისა და განვითარების პროცესს.

პროკურატურის სისტემაში დაინერგება მენტორების ინსტიტუტი. აღნიშნული გულისხმობს ყველა სტრუქტურულ და ტერიტორიულ დანაყოფში კომპეტენტური და სპეციალურად მომზადებული პირის არსებობას, რომელიც ახალდანიშნულ თანამშრომლებს, სტაჟიორებს საწყის ეტაპზე გაუწევს დახმარებას პრაქტიკულ სამუშაო პროცესში და ამასთან, იზრუნებს გუნდში მათ ინტეგრაციასა და სათანადო პროფესიული უნარების გამომუშავებაზე.

## 12.5. ახალი ელექტრონული პროდუქტების დანერგვა

ტრენინგსაჭიროებათა კვლევის პროცესში ყველა თანამშრომლის თანაბარი ჩართულობის, მათთვის საჭირო მასალების, ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პროცესების მართვის გამარტივების მიზნით, დაინერგება ახალი ელექტრონული პროდუქტები. კერძოდ, მომზადდება ელექტრონული ბიბლიოთეკა, ტრენინგსაჭიროებათა ანალიზისა და სასწავლო პროცესების მონაცემების მართვის ელექტრონული პროგრამები. აღნიშნული პროდუქტების დანერგვა ხელს შეუწყობს დროის, ადამიანური და ფინანსური რესურსების დაზოგვას.

## 12.6. სტუდენტებისათვის სასწავლო აქტივობების განხორციელება

საუნივერსიტეტო წრეებსა და სტუდენტებთან კომუნიკაციის გააქტიურების მიზნით, საქართველოს პროკურატურის ინიციატივით თბილისსა და რეგიონებში წლის განმავლობაში მინიმუმ 5 სასწავლო აქტივობა განხორციელდება. შეხვედრების ფარგლებში საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები სტუდენტებს გააცნობენ მათთვის აქტუალურ საკითხებს, მათ შორის, საქართველოს პროკურატურის სისტემასა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. სტუდენტებისთვის სასწავლო აქტივობები ჩატარდება საქართველოს პროკურატურაში. ასევე, განხორციელდება პროკურატურის წარმომადგენლების, მათ შორის, მაღალი რგოლის მენეჯერების ვიზიტები უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სადაც ისინი ჩაატარებენ საჯარო ლექციებს. გააქტიურდება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის პროკურატურაში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტებისთვის პრაქტიკული ცოდნის გადაცემას, ასევე პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდას.

## 12.7. რანგირების სისტემის რეფორმა

პროკურატურის სისტემაში დაინერგება პროკურორების, გამომძიებლებისა და მენეჯერების რანგირების ახალი სისტემა.

რანგირების დაგეგმილი რეფორმა გულისხმობს რიგითი თანამშრომლებისა და მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირებისთვის რამდენიმე რანგის შემოღებას, რომლის მინიჭება მოხდება კონკურსის წესით და გადაიხედება გარკვეული პერიოდულობით. რიგითი თანამშრომლებისა და მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირებისთვის კონკრეტული რანგის მინიჭება განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. სხვადასხვა რანგის პროკურორებს და გამომძიებლებს, მენეჯერებს ექნებათ განსხვავებული თანამდებობრივი სარგო და სოციალური გარანტიები.

რანგირების სისტემა პროკურორს გახდის თვითგანვითარებაზე ორიენტირებულს, გაზრდის საკუთარ კვალიფიკაციაზე ზრუნვის მოტივაციას, გააუმჯობესებს გამომძიებლისა და სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, გაზრდის მენეჯმენტის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს ინოვაციურობის ზრდას.